# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა. 6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
კონტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი — პარასკევი. თებერვლის 20 1920 წ. № 38 — ფასი 4 მან.

ღრმად დამწუხრებულნი ილარიონ ივანეს ძე რატიანი და შვილები პლატონ და ივანე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას მათთვის დაუვიწყარის პირველის მეუღლისა და უკანასკნელთა დედის

## ვარდიკო კაციას ასულისა

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 21 თებერვალს კონტოითის მაცხოვრის ეკლესიის გალავანში. 2864 2—1

ნინო ივანეს ასული, კონსტანტინე იოსების ძე და ვიქტორ კონსტანტინეს ძე სვიმონიშვილები და ისე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელ დისას, მეორის ცოლის დისას მესამე დეიდისას და მეოთხე ცოლის დეიდისას

## მარიამ ივანეს ასულ გოგნიაშვილის

გარდაცვალებას, დაკრძალვა ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში თებერვლის 20-ს გამოსვენება დილის 10 ს. სახლი ოლღას ქ. № 20 2870 1—1


## სახელმწიფო თეატრი

მდ. ახინშვილის ხელმძღვანელობით

საყველიერო რეპერტუარი.

პარასკევს, თებერვლის 20-ს

| დილით | საღამოთი |
|---|---|
| | მ. იანსას ბენეფისი |
| დემონი | პიკის ქალი |

შაბათს, თებერვლის 21-ს

| დილით | საღამოთი |
|---|---|
| | ოპერა მუშებისთვის |
| ჰენზელ და გრეტელი | ქეთო და კოტე |

კვირას, თებერვლის 22-ს

| დილით | |
|---|---|
| | ა. წუწუნავას წარმოდგენა |
| ჩერევიჩკი | „აბეს ლომ და ეთერი" |

1-ლ მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი"

„სასოფლო გაზეთს" ექნება შემდეგი განყოფილებანი: საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს ნიკო კიზირია.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს" ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 8 მან. თითო ნომერი 2 მან. 4—3—3



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")

ყოველ დღე გლინეში
1 ს.—5 საათ. ხადილი

პარასკევს თებერვლის დიდი მრავალ ფეროვანი პროგრამა.

შაბათს თებერვლის 21-ს დიდი მასკარადი. მსახიობნი საზოგადოების შორის, საერთო ცეკვა.

სტუმრების შეკრება ღამის 11 საათზე.

სადილის დროს და პროგრამის შესრულებისას უკრავს ორკესტრი ცნობილ ციმბალისტ მარეინესკოს ხელმძღვანელობით.

დასაწყისი ღამის 10 ს.

კვირას 22 თებერვალს დილის 10 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა იწვევს ამავე უნივერსიტეტის

## სტუდენტთა საერთო კრებას

განსახილველია შემდეგი საკითხები:
1. კავშირის გამგეობის მოხსენების წლიური ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება 3. მიმდინარე საკითხები 4. კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 2871—2—1



ცირკი „კრისტენ"

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.

პარასკევს, თებერვლის 20-ს 1920 წ.

გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა მისტერ ბორტონის, გ. მეხტიევის, ა. მატოვის მონაწილეობით.

საერთაშორისო ფალავნების ჭიდაობის გაგრძელება.

ნეიზვესტნი—როზენბაუმი. ახალგაზდა „მაცისტი"-ს სახელით წოდებული კოლია ქვარიანი—ხტაროშვილის წინააღმდეგ. ზუიკოლოვი—მაკაროვი.

წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახ. ს. ჭიდაობის დაწყ. ღამის 10 ნახ. ს.

გამგე იურიევი. არბიტრი: ვ. კვიატკოვსკი.

კინემო მინიონი — თებერვლის 19, 20, 21-ს

მხოლოდ სამი დღით

მონაწილეთა თხოვნით!

ჩაბალი ტეზემბლიარი!!

## ოდეტ
(ქალი მორფის ბიმღები)

გრაფინია ოდეტის როლში ულამაზესი ფრანჩესკა ბერტინი. მომხიბლავი თამაში გენიალური მსახიობ ქალის გ. სარდუს სახელგანთქმულ ნაწარმოებში. არაჩვეულებრივი ხიმდიდრე დადგმის, დიდებული გარეგანი ეფექტები, როგორც ბრწყინვალე დღესასწაულები, კარნავალის სცენები, ყვავილთა ბრძოლა ნიცაში, დამაბრმავებელი სიმდიდრე ჩაცმულების და მოსართავების ყველაფერმა ამან უზრუნველჰყო ხურათი „მორფის მიმღების ქალი"-ს დიდი სახელი.

## ქართული კლუბი

კვირას თებერვლის 22-ს

ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ციცნათელა

4 მოქ. ნ. შიუკაშვილის.

მონაწილეობენ: ნ. ჩხეიძე, ე. ციმაკურიძე, ბ. გამრეკელი, ბ. ბ. მ. ქორელი, მ. მიქელი გ. სარჩმელიძე, დ. ძნელაძე, ა. ვასაძე, შ. დამბაშიძე და სხ.

პიესას დასდგამს მ. ქორელი — დასაწყ. 9 ს.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით 21—3—2

## ქართული კლუბი

შაბათს 21 თებერვალს

„საოჯახო საღამო" — კლუბის მამასახლისი პ. ი. ქავთარაძისა

წარმოდგენილი იქნება:
1. ვერას საიდუმლო—ფარსი 1 მოქმედებიანი 2. ბენ-ალის ხვანხები—შარჟი 3. ალმასრულებელი ფურცელი—ფარსი 1 მოქმედებიანი 4. „ტანგო"-ს კონკურსი.

მონაწილეობენ: ქნ. ნ. ანდრონიკოვისა, ვიქტოროვისა, გალინა, გორინაია, ლეონოვა, შულმანი, კუხიკოვი, ლიმეგინი, ოსიპოვი, სკარჟინსკი, სველოვი და სხ.

კლუბში შესვლა ... 8 ნახ. საათზე

საღამოს გამგე პ. ი. ქავთარაძე

## მოითხოვეთ ჩარიბაიას კახური ღვინო

ფირმის მიერ მონაწილეებმად მიწვეულები არიან ჯურჯაანის საუკეთესო მევენახეები. 2862 10—1

## მეორე ქართული კლუბი
(პლეხანოვის პროსპექტი № 129)

შაბათს, 21 თებერვალს, გაიმართება დიდი

## საღამო — მასკარადი

საუკეთესო ტანისამოსისათვის და ცეკვისათვის დანიშნულია პრიზები.

სტუმრები შედიან კლუბში საზოგადო წესით. 25—1—1

## იყიდება

გომბორში
(თბილისის მაზრა) ყოფილი ფოსტის სადგური

ქვითკირის სახლი შვიდ ოთახით, საჩეხით, თუნუქის სახურავით და საჯინიბოთი.

ცნობების მიღებისთვის მიმართეთ: ყორღანოვის ქ. № 22, დილის 8 ს და 10 ს. აგრეთვე იყიდება ყოველგვარი რკინეულობა პანასევიჩის ქუჩაზე № 13. 2866 2—2

მაქს მე ონისიმის ძე

## გაყონია

აუწყებს თავის პატივცემულ კლიენტებს ... ნაზედ (სასამართ. ქ., სახ. № 52, შესავალი არშაკუნის ქუჩაბანდით), ისევ დაიდგა მისი ძველი

ტელეფონი № 9—25

რომლითაც ის სარგებლობდა 9 წლის განმავლობაში.

განცხადებების მიღება

ყველა გაზეთებში და საკომისიო მონდობილობანი.

კონტორის („განათლება") ტელეფონი წინანდელია 3—44.


## „ავადმყოფი ადამიანის" გარეშემო

ევროპიდან ოსმალეთის გამოდევნა ევროპის დიდ სახელმწიფოებს არა ერთჯელ დაუსვამთ დღიურ წესრიგში. ამ საკითხმა განსაკუთრებული სიმწვავე მიიღო ბალკანეთის ომის დროს, რომელიც წინ უძღოდა უკანასკნელ დიდს მსოფლიო ჭიდილს. კიდევ მეტი სიმწვავე მიეცა ამ საკითხს ეხლა, როდესაც გამარჯვებული ანტანტი შეუდგა ომის შედეგების მოწესრიგებას. ეს მომენტი კი ყველაზედ უფრო ძნელი მომენტი იყო ოსმალეთისთვის. ანტანტი მას სჯიდა, როგორც გერმანიის მოკავშირეს და როგორც თავის მტერს. ანტანტმა შებრალება არ იცის თავის მოპირდაპირებისა; კიდევ უფრო ულმობელია კერძოდ საფრანგეთი ყველა იმასთან, ვისაც კავშირი ჰქონდა გერმანიასთან, რომელსაც იგი მოსისხლე და საშვილიშვილო მტრად ჰსახავს. ხოლო ოსმალეთი გერმანიის ნამდვილი ფორ-პოსტი შეიქმნა ამ უკანასკნელ წლებში აზიის ქვეყნებზე მისი ეკონომიური და პოლიტიკური გაბატონების გასავრცელებლად. ოსმალეთის დაშლა, ეროვნულ მოსაზრებათა მიხედვით, ისე როგორც მისი განდევნა ევროპიდან ანტანტის შეთანხმებულ პროგრამად გადაიქცა პირველ ხანებში. ფაქტიურად კი მესოპოტამია ინგლისის ხელში იყო; თანაც არაბეთმა წამოჰყო თავი და დამოუკიდებელი არსებობა მოითხოვა; იქ სირია-პალესტინამ, აქ სომხეთმა და ქურთისტანმა და სხვა და სხვა. ოსმალეთი უნდა დარღვეულიყო ისე, როგორც დაირღვა რუსეთი. ამ დარღვევას ჩვენთვის უნდა შეემატა ჩვენი თორთუმ ისპირი და ლაზისტანი და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რეწის ხსი უნაკლოსად დაესრულებინა.

„ავადმყოფი ადამიანი", რომელსაც ყოველთვის იმდენივე მომწამვლელი აღმოუჩნდება ხოლმე, რამდენიც მკურნალი, ნამდვილ აგონიაში იყო შესული.

სტამბოლის დაჭერამ თითქმის ამ ხუთი საუკუნის წინად უცბად მიიტანა ოსმალთა სახელმწიფოებრივი განმტკიცების ძლიერი აყვავება. 1453 წლიდან მოკიდებული რამდენიმე—ათეული წლიწადში ოსმალეთმა ძლიერების აპოგეას მიაღწია.

ამგვარსავე დიდ როლს თამაშობდა სტამბოლი ოსმალეთის დეკადენსის ხანაშიაც. დაუძლურებული, ჩამოფლეთილი და დამარცხებული ოსმალეთი დღესაც ძლიერია თავისი სტამბოლით, რომელიც რუსეთისა და ევროპის დიდ სახელმწიფოებს ერთნაირად იზიდავს და ერთნაირსავე შექიშპებას ჰქმნის მათ შორის მის დასაუფლებლად.

სტამბოლმა, რომლის ჩამორთმევით, ოსმალეთის დეკადენსი შეურდეულივით დაღმართში უნდა დაქანებულიყო, დღესაც იხსნა ოსმალეთი და აგონიაში მყოფ ავადმყოფს სიცოცხლე გაუგრძელა.

ოსმალეთის საკითხის გადაჭრის განმავლობაში შეიცვალნენ მოსაზრებანი და ზუნებანი ანტანტის წევრებისა და დაირღვა მათი პირვანდელი მთლიანი ფრონტი ოსმალეთის დაშლისა და სტამბოლის ჩამორთმევის საკითხის მიმართ. თან და თან საფრანგეთი გამოვიდა ევროპაში ოსმალეთის დატოვების მომხრეთ და ბევრი წინააღმდეგობის შემდეგ, როგორც სჩანს, ინგლისიც დაიყოლია.

უკანასკნელმა დეპეშებმა გვაცნობეს უმაღლეს საბჭოს გარდაწყვეტილება ევროპაში ოსმალეთის დატოვების სასარგებლოდ. ანტანტი დაშინდა და ამ საკითხში ვერ გაბედა არსებული სტატუსკვოს დარღვევა, იმდენად სახიფათოდ და საბედისწეროდ მიუჩვენათ მათ ამ დარღვევის შედეგები. ამ საქმეში თუ ერთგვარი როლი ითამაშა საფრანგეთის ქისის ინტერესმა, ბევრად მეტი მნიშვნელობა იქონია ბოლშევიკების მუქარამ მაჰმადიანთა ქვეყნებიდან.

სტამბოლის საკითხის ამგვარ გადაჭრას თავისი შედეგი მოაქვს საქართველოსთვის.

ოსმალეთი შეპყრობილი იყო სტამბოლის დაკარგვის შიშით და მთელი მისი ძალ-ღონე ამ გარემოებაზედ იყო მოქცეული. მას არ ჰქონია ხელ-ფეხი დახსნილი პოლიტიკურ ინტრიგების თავისუფალ წარმოებისათვის ამიერ-კავკასიაში. მისი პრესტიჟი დაცემული იყო და მახვილიც ამართული მის გულში ჩასარჭობათ. დღეს კი ოსმალეთმა ეს მახვილი აიცდინა, პრესტიჟი დაიბრუნა და თავისი ძალა-ენერგია გაინთავისუფლა ამიერ-კავკასიისათვის, სადაც სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული წონასწორობა ჯერ კიდევ სავსებით გამოძებნილი არ არის.

და ეს ოსმალეთის მოცლა ამიერ-კავკასიაში ჩვეულებრივი პოლიტიკის საწარმოებლად მოხდა იმ დროს, როდესაც ბათომის ოლქიდან ინგლისის ანაზდეული გასვლა სწარმოებს. უბრალო შემთხვევაც რომ იყოს, მაშინაც ეს გარემოება სავსეა ხიფათით. ხოლო თუ აქ უბრალო შემთხვევაზედ მეტია, თუ აქ მიზან შეთანხმებაა ოსმალეთსა და სხვებ შორის, მაშინ ნამდვილი ტრაღედია დატრიალდება. ბათომის ოლქში მოხდება სიკვდილ-სიცოცხლის შებმა საქართველოსთვის. სულ სხვა იქნება ქართველი მეომარი და მისი იარაღი ბათომისათვის ბრძოლაში, ვიდრე იგი იყო ცხრაას თვრამეტში. ბათომში უნდა ვიპოვოთ ან გამარჯვება, ან საფლავი. სხვა არჩევანი ჩვენთვის არ არსებობს. ნურავინ შევა შეცდომაში ქართველი ერის ამ გრძნობის შესახებ. დღეს არაა რევოლუციის და ანარქიის დრო არც ჯარში და არც ჯარის ზურგში. დღეს მთელი ქართველობა წესიერების რაზმია და ერთი შემტკიცებული ნების-ყოფა ჩვენი საკუთრების დასაცავად.

ამ მხრივ ჩვენი მზადება უნდა იყოს სწრაფი და ყოველ-მხრივი, რომ ინციდენტმა არ დაგვიმარტოხელოს.

ამასთანავე უნდა იმედი ვიქონიოთ რომ ევროპა „ავადმყოფ ადამიანს" ფეხზე იმიტომ არ წამოაყენებდა, რომ გამოიწვიოს ახალი სისხლის ღვრა, ახალი ძალ-მომრეობა.

## პროვოკაციული ცნობები საქართველოს შესახებ

ყველამ უწყს, თუ როგორ ხმებს ავრცელებენ ევროპაში ჩვენი მტრები საქართველოს შესახებ. ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებამდე, ასეთი სახის მუშაობა, განსაკუთრებით გაცხოველებული იყო და ამ დარგში ყველაზედ უფრო ნაყოფიერათ მოღვა-

# დ ღ ე ს:

გლადსტონის შვილი სწერს „ტამსში“: ინგლისსა და საფრანგეთის შორის ახალშენების და ოსმალეთის საკითხმა დამოუკიდებლობა შესცვალაო.

დასავლეთ ჰუნგრეთის საკითხის გადამწყვეტ კომისიაში ავსტრიის წარმომადგენელიც მონაწილეობს.

თემთა პალატამ, ქონებაზე გადასახადების დაწესების საკითხის განსახილველად კომისია აირჩია.

სევასტოპოლის მცხოვრებნი იხიზნებიან.

სომხეთის და კილიკიის საკითხის განსახილველად ლონდონის კონფერენციამ კომისია აირჩია.

— —

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური—„ავადმყოფ ადამიანის“ გარშემო.

ს. გაბუნია—საგვარეულო მამულის გამოსყიდვა და ყურძნის აკიდო.

მ. ჯანაშვილი—საქართველოს საყდარი.

ს. დარიანი—ბოლშევიზმი და საქართველო.

— პროვოკაციულ ცნობები საქართველოს შესახებ.

---

წეომდენ ჩვენი მეზობელი სომხების წარმომადგენლები: ისინი ურცხვად არ ზოგავდენ რომ საქართველოსათვის მავნე ინფორმაცია გაევრცელებიათ; [illegible]

[illegible]

სამწუხაროდ ეს არ ცნობა, რომელსაც ჩვენ დღეს ვათავსებთ გაზეთ „რენესანსიდან“, რომელიც, როგორც [illegible]

[illegible]

გაზ. „რენესანსი“ 30 იანვრის №-ში სწერს

[illegible]

საბჭოთა რუსეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობათა შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ სომხეთში თავდასხმილია [illegible]

[illegible]

გაზ. „რენესანსი“ 4 თებერვლის № ში სწერს:

[illegible]

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**მთიელთა მისია**

[illegible]

**[illegible] კავკასიის კომუნისტების თათბირი.**

[illegible]

ბაქოში ამ ჟამად მთიელთა კომუნისტების თათბირია გამართული. კომუნისტების მიზანია მთიელთა რესპუბლიკის—საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადება. ამ საკითხის გარშემო კავკასიის საოლქო კომუნისტების კომიტეტის და მთიელთა კომუნისტების მიერ ამაზე აზრთა შეხლა-შემოხლა სწარმოებს. თბილისის ბიურო საოლქო კომუნისტების კომიტეტის წინააღმდეგია მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკის ბაქოს კომუნისტები კი მომხრენი.

მთიელთა კომუნისტების საქმიანობა თბილისში სრული ფიასკოდ დამთავრდა და გაემგზავრნენ ბაქოში, იქიდან კი დაღესტანში. მთიელთა კომმუნისტებმა დაადგინეს, შევიდნენ უშუალოდ ცენტრში და გამოეყვნენ საოლქო კომიტეტის მფარველობიდან. ეს გარემოება უფრო გაამწვავებს კავკასიის კომუნისტების შორის და გამოიწვევს დიდ განხეთქილებას.

## სომხეთი

**სომხეთა პატრიარქის გამგზავრება პარიზსა და ლონდონში.**

სტამბოლის სომხეთა ეროვნულ საბჭომ დაადგინა, წარგზავნილ იქმნას სომხეთის პატრიარქი პარიზსა და ლონდონს მოხსენების წარსადგენად ანატოლიის სომეხ-მცხოვრებთა კრიტიკულ მდგომარეობის შესახებ. (აზხ.).

## დაღესტანი

**ბოლშევიკები დაღესტანში.**

დაღესტანში ჩაკიდა საბჭოთა რუსეთის ჯარის მთავარ-სარდალი თავისი შტაბით.

## რუსეთი

**საბჭოთა რუსეთის მთავრობა ინგლისის [illegible]**

[illegible]

არსებას. ამ რიგად შეუძლებელი გახდება ტროცკის და ლენინის მთავრობის შორის რაიმე ურთიერთობის დამყარება საბჭოთა რუსეთთან.

**ქრისტიანული კომუნიზმი და ბოლშევიზმი.**

ბოლშევიზმის დოქტრინებს უკვე დაეცყო ევოლიუცია და ბოლშევიკები დაუბრუნდნენ ნაკლებ უხეშ სისტემას. ადრე თუ გვიან საბჭოთა მთავრობა უარჰყოფს ამ გამეფებულ ტერორის რეჟიმს.

ანარქიას ყოველთვის მოსდევს კრიზისი და შეუძლებელია მან დიდხანს გასტანოს.

სტეფან გრახამი ამტკიცებდა, რომ კომუნიზმის ევოლიუცია—ეს არის გაღვიძებული მისტიციზმი, რომელსაც ალაგი აქვს ყველა სლავიანის სულის სიღრმეში.

„ღამეა გამეფებული მძინარე რუსეთზე, სწერს იგი, განსაკუთრებით, სიბნელეა მოსკოვს, კიევს და ნოვგოროდს; ქადაგობდნენ, რომ არ არის ღმერთიო. ხალხის დიდი ნაწილი მორწმუნეა, მაგრამ იგი მათ მონობაშია, ვინც უარყოფს ღმერთის არსებობას, იმიტომ რომ მათის აზრით სარწმუნოება ხალხის საწამლავია, ქრისტეს მოსავი ლაშქარი გადაიქცა ქრისტეს მოძულე წითელ ლაშქრად პირველი განრა მეფის ჩამოგდებისთანავე, ხოლო მეორე შეიქმნა მათთან ერთად ვინც ეხლა წყევლა-კრულვით იხსენიებს ძველ რუსეთს.

მეორე გრძნობა წარმოიშვა რევოლუციიდან. ბოლშევიზმი გადიქცა კომუნიზმად. ძველ არისტოკრატიას ჩამოერთვა ქონება მაგრამ არისტოკრატიის სასარგებლოდ და შეექმნა ორი მოძრაობა: პირველი იყო: მჩაგვრელ კლასის მოსპობის სურვილი, ხოლო მეორე კომუნიზმის გრძნობა რომელიც არსებითად იმავე დროს არის ქრისტიანული გრძნობა, პირველმა სახელი გაუტეხა ბოლშევიზმს ხოლო მეორემ ახალი იმედები აუძრა დემოკრატიას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში ასიათასი მცხოვრები მონად დაბადებულა. ეხლანდელი ბრძოლა არის ბრძოლა მესაკუთრეთა არაფრის მქონეთა წინააღმდეგ მაგრამ რუსეთში წარმოიშვა დემოკრატიზმი. იგი მალე თვის აზრს გამოსთქვამს. იგი მხარს არ დაუჭერს არც მეფეს, არც ბურჟუაზიას, არც იმ პარტიას, რომელიც იკვებებს უცხო სისხლის მოვალეობას, იგი მხარს დაუჭერს ახალ ბოლშევიზმს, რომელიც იქნება უბრალო და წმიდა კომუნიზმი, მხოლოდ სასწაულს შეეძლო რუსეთის ხსნა: ამისთვის საჭიროა უხეშ ტერორისტულ ბოლშევიზმის ქრისტიანულ ბოლშევიზმად გადაქცევა. მოხდება ეს.

### მოსკოვის ცხოვრება.

(საქართველოს თარგმანი „ჟურნალ დორიანტ“-დან).

**პროლეტარიატის ახალი არისტოკრატია.**

ერთ ამერიკულ გაზეთში ოსტმანი აღწერს საყურადღებო სურათს ბოლშევიკების მიერ შექმნილ არისტოკრატიის ცხოვრებიდან, რომლითაც ბოლშევიკებმა შესცვალეს ძველი რეჟიმის სასხლის პრინცესები და აზნაურობა, ნიკოლოზ II ფუფუნებაში მყოფი სახლი. ერთი მეტად საყურადღებო შედეგი ბოლშევიზმისა ეს არის პროლეტარიატის ახალ არისტოკრატიის შექმნა. ეს ახალი არისტოკრატია 1500 წევრისგან შესდგება, მათ მოსვენ სტავრით და ამკობენ ძვირფასეულობით უმრავლესობა მათგანი ქალებია, რადგან რუსეთი ყოველთვის ქალებისა და ბოლშევიზმის ქვეყანა იყო. ამ არისტოკრატიის ცხოვრება არ არის დაფარული. პროლეტარიატის მასსა მას ზიზღით და შურით უყურებს და ცდილობს მათ ენებას. ამტკიცებენ რომ მათ შეითვისეს ძველ მეფურ არისტოკრატიის ზნე ჩვეულებანი. განსხვავება მარტოდ იმაშია, რომ ქეთილშობილეებ უკულტურო და ტლანქ საქმნის დედაკაცებს და არეცხავებს. მოსკოვში მრავალია განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი ფაქტები. ერთ ქალს—ბარბარე ზნეკინს დიდხანს ეჭირა თავად-რომანოვების სახლი, ჰყავდა მსახურნი, ავტომობილი და მშვენიერი საპირფარეში. მასთან ხშირად სადარბაზოდაც მოდიოდნენ მაგრამ საბჭომ აიძულა იგი თავი დაენებებინა ამ მყუდრო თავშესაფარისთვის მისი ალაგი დაიჭირა ელენე ლესკოვმა იგი ლენინის ბიძაშვილია.

### პეტროგრადში.

**ბოლშევიკურ არისტოკრატების დედოფალი.**

ბოლშევიკურ არისტოკრატიის დედოფალი ანდრეევა, გორკის მეუღლე, ეხლა პეტროგრადის ეროვნულ თეატრის დირექტრისაა.

მას მიღება აქვს დიდმთავრის კონსტანტინეს მარმარილოს სასახლეში. მის მიერ გახსნილი პოლიტიკურ-ლიტერატურული სალონი მრავალს იზიდავს.

ბოლშევიკები შეეცადნენ რომ ქალბატონ გორკისთვისაც მეტოქე შეექმნათ და მათ გამონახეს კიდეც ასეთი მეტოქე ოლღა გვოზდევა, რომელიც სტროგონოვის სასახლეში დაასახლეს. იგი ხშირად მართავდა დიდ დღესასწაულებს. აქ გამეფებული ფუფუნება და სიმდიდრე დასცინოდა ქალების სიმშილს და სიღარიბეს.

**კოლჩაკის დახვრეტა.**

კოპენჰაგენიდან გაზ. „დეილი ჰეროლდ“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ამირბარი კოლჩაკი დახვრიტეს. ინგლისის სამხედრო სამინისტრო, ადასტურებს რა ამ ცნობას, დასძენს, რომ კოლჩაკთან ერთად დახვრიტეს მისი პირველი მინისტრი პეპელიაევი. ორივე დახვრიტეს ირკუტსკში რევოლიუციონური კომიტეტის ბრძანებით.

(საქ. დეპ. საგ.)

**სამხედრო ცნობა**

მოსკოვი 18/2. ჩვენმა ჯარმა სელცკოე აიღო. ჩრდილოეთ დვინის ორივე მხარეზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. არხანგელსკის მიმართულებით 411 ვერსზე მყოფი ბაქანი ავიღეთ ბრძოლა გრძელდება. სებეჟის რაიონში მტერი ჩვენი წინა ნაწილების დამარცხებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

მოსკოვი (გაგრძელება) ვისნესკის და პოლოცკის რაიონში მტერი დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე ადგილას გადავიდა, დვინას და პოლოცკის შუა მაგრამ ჩვენი კონტრ-იერიშებით უკუ ვაგდეთ. ქალ. პოლოცკის მტერმა ყუმბარები დაუშინა. ლეპელის მიმართულებით სოფ. ვოლოყოვიჩზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ მოზირის და ჟიტომირის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. დნესტრზე ბალტის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით რიბნიცა და ვორონკოვო აიღო. ამ ადგილებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პერეკოპის და სივაშის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. მტრის აეროპლანებმა ტაგანროგში ყუმბარები ჩამოაგდო. ქვემო დონზე და მანიჩზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ველიკოკნიაჟის რაიონში მკაცრი ბრძოლაა.

სტავროპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი შეტევა გრძელდება. ირკუტსკის რაიონში წითელი პარტიზანები სდევნიან პატარა რაზმებს, რომლებიც მცხოვრებლებს სძარცვავენ. სად. უსოლეზე კოლჩაკის დარჩენილ პოლკს, პოლკის უფროსის მეთაურობით გარს შემოერტყნენ.

**შრომის ფრონტზე.** მოსკოვში შესდგა „სამის კომისია“ შიგ შედის ერთი წარმომადგენელი მოსკოვის საბჭოთა მთავრობისგან, ერთი პროფ. კავშ. საბჭოებისაგან და ერთიც ქალთვით სამეურნ. საბჭოსაგან. კომისიის უმთავრესი მიზანს შეადგენს გაძლიერება შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის კომისიამ მოსკოვის მუშებისადმი გამოსცა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: მუშათა მდგომარეობას გასაუმჯობესებლად კომისია მთელი თავისი არსებით ხელს შეუწყობს საქონლის როგორც მოტანას, აგრეთვე განაწილებასაც, იგი მოაწყობს ახალ ორგანოს. მუშების სურსათით უზრუნველსაყოფად, მოსპობს ქარხნებში ფაბრიკებში და დაწესებულებებში ყოველგვარ უხერხულებებსა და უწესოებებს შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად კომისია გადაჭრით შეებრძვის. შრომის ენერგიის დაცემისა და დეზორგანიზაციის ყოველ გვარ გამოხატულებას. „მოწოდება შემდეგი სიტყვით თავდება:“ ამხანაგებო, დროა ზურგს უკან მყოფნიც ავინძრეთ და თავიდან მივიცილოთ ჩვენი უმთავრესი მტერი უსაქმობა.

**პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა.** მოსკოვი, თებერვლის 18, ც. კ. ა. ბ. ბ. ბიულეტენი.

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მესამე ყრილობა გადადებულია აპრილის 5-თვის: პრესის მიმოხილვა: „პრავდაში,“ ბუხარინი ყვება იმაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მ. გორკისთან საუბარმა. „ჩვენ გარშემო მათხოვრობა ავადმყოფობა და სიმშილია, სწერს იგი. გორკი კი მხიარულობს ისე, როგორც არასოდეს. დადგა დღესასწაული. გორკიმ იგრძნო და შეხედა მას, რაც მართლაც ახალი ეპოქის დასაწყისია.

მან შეხედა შრომას, რომელიც მოსპობს მათხოვრობას, შიმშილს და რომელიც მშვიდობიანობას დაამყარებს. გატაცებით და აღფრთოვანებით ლაპარაკობს გორკი შრომის არმიებზე. გორკის სიტყვით, პეტროგრადში გადატეხა სჩანს, არა თუ მარტო პროლეტარიატში, არამედ თვით ინტელიგენციაში. რუსეთის მეცნიერების ძველმა გვარდიამ საუკეთესო მეცნიერებმა ინჟინრებმა, ქიმიკოსებმა და მათემატიკოსებმა შეხედეს, რომ საბჭოთა რუსეთს სურს და შეუძლია არა თუ დაანგრიონ ძველი, არამედ შექმნას ახალიც და შექმნას სერიოზულათ იწყება ინტელიგენციის საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლა. რამ შექმნა ეს ცვლილება? კითხულობს ბუხარინი და უპასუხებს: პროლეტარიატის შეკავშირებულმა ძალამ ფრონტზე, ბლოკადის მოხსნამ, შრომისადმი იმ გატაცებამ, რომელიც პროლეტარიატის პარტიამ გააძლიერა. სწორედ ამიტომ გრწყინავს გორკი და გრძნობით ამბობს ერთ სიტყვას: „დიდებულია“.

**მოსკოვის ფაბრიკების და ქარხნების მუშები.**

მოსკოვის ფაბრიკების და ქარხნების მუშებმა დაიწყეს ორთქმავალის და ვაგონების კეთება. შეკეთებული ვაგონებით თვით მიდიან პურისათვის. გზათა სახალხო კომისარიატმა უკანასკნელ კვირაში 105 ორთქმავალი და 4000 ვაგონი გამოუშვა. რკინისგზელთა პროფ. კავშირმა მიმართა ყველა წევრებს მოწოდებით, რომ საჭიროა გმირული ძალა რკინის გზის აღსადგენათ, კავშირი მოუწოდებს ამხანაგებს დაზგებისაკენ, ორთქმავალისაკენ, ვაგონებისაკენ და მოითხოვს ძალადატანებასაც თუ ეს აუცილებელი შეიქმნება. დენიკინის უმატარებლოთ არის.

დენიკინის ზურგს უკან მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. თურქესტანის ფრონტზე მიმოსვლა შესწყდა. თურქესტანის ფრონტზე სრული განადგურებაა. ქუჩები სავსეა ნავთით, მაღაზიები გაძარცული, საავადმყოფოები და ლაზარეთები სავსეა ავადმყოფებით და დაჭრილებით, მკვდრები ორ-ორი თვე ყრიან დაუმარხავად. ტყვე წითელ არმიელებს სიმშილით ხოცავდნენ, მოითხოვდნენ, რომ ისინი თეთრების ჯარში ჩაწერილიყვნენ. ორდინის მონასტრის ბერებმა დაარსეს სამეურნეო არტელი, დაიპარსეს თმები, ჩაიცვეს ჩვეულებრივი ტანისამოსი და მუშაობას შეუდგნენ.

**სევასტოპოლის საფრთხე.**

(ლიონის რადიო სადგურიდან).

როგორც ეტყობა სევასტოპოლი დიდ საფრთხეშია და იქ გამეორდება ოდესის უბედურება, ერთი სიტყვით მდგომარეობა საფრთხეშია. არა ბოლშევიკურ რუსეთისა იმდენად გამოურკვეველია, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლებს ეშინიათ წითლების გამარჯვებისა, არა გარედან შემოსვლით არამედ შიგ მომხდარ მოძრაობით. მოხალისეთა ძალების ეხლანდელ სარდალს შილინგს, რომელიც ყირიმის ყელზე იმყოფება და გარს შემორტყმულია გაყინული მაგარი ყინულით ეშინია ამ მხარედან წითელი ჯარის მოსვლისა. სევასტოპოლის ნავთსადგური ანაყოფით არის გაჭედილი გემებით მოხდა 10.000 კაცის რეგისტრაცია, რომელთაც გასვლა სურთ. 11.000 კიდევ ოდესიდან გამოსულ გემებზე იმყოფება უსურსათოთ და უწამლოთ. ლტოლვილთა შორის ძლიერ გავრცელებულია სახადი.

## იტალია

**ქართველი სტუდენტები იტალიაში.**

რომში ჩამოვიდნენ საქართველოს მთავრობის მიერ გამოგზავნილი ქართველი სტუდენტები. მათი უმრავლესობა მილანის და პრუჯის უმაღლეს სასწავლებლებში აპირებს შესვლას. („მეცცო ჯორნო“).

**იტალიის ვალი.**

დღემდე იტალიის ვალის რაოდენობა 16 მილიარდს აღწევს, აქედან 600 მილიონი ნასესხებია საზღვარ-გარეთიდან.

## ინგლისი

**სიონიზმი.**

ბრიტანეთის სიონისტურ ორგანიზაციამ თავის უკანასკნელ საჯარო კრებაზე გამოიტანა დადგენილება, რომლითაც მოითხოვს პალესტინაში სიონისტურ სახელმწიფოს შექმნას ხალხთა ლიგის კონტროლით, ევროპის სოციალურ სამართლიანობის ტრადიციებით. ჰერბერტ სამუელმა, შეეხო რა თავის მისიას პალესტინაში, განაცხადა, რომ იგი ყოველივე ღონეს იღონებს, სიონისტების მიერ დაწყებულ ებრაელთა კოლონიზაციას. მანვე განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა აღუთქვამს პალესტინაში მიწად-მოქმედების ახალ სისტემის შემოღებას და კოლონისტებისა და მშრომელთა ინტერესების შეფარდებას მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## ამერიკა

**20 მილიონი ამერიკელი ხელშეკრულების დადასტურებას მოითხოვს**

ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ სტამბოლის გაზეთებს, რომ თანახმად ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებისა, სენატორ ლოჯსა და იჩკოკს წარუდგა დელეგაცია სხვადასხვა სარწმუნოების, სასწავლებლების, მიწადმოქმედების და სხვა ორგანიზაციებიდან, რომელთა შედგენილობაში შედის 20 მილიონამდის წევრი და მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ იქნას ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულე ა. ლოჯმა აღუთქვა საყურადღებოდ განხილვა ამ საკითხისა, ხოლო იჩკოკმა გამოსთქვა იმედი, რომ შესაძლებელია წინააღმდეგობა სენატისა შემცირდეს სამართლიანობის წყალობით.

**ამერიკა და ვერსალის ხელშეკრულება**

„ეკო დეპარი“ იტყობინება, რომ სენატორს იჩკოკსა და ლოჯს პირველჯერ ჰქონდათ ბჭობა ვერსალის ხელშეკრულობის დასადასტურებლად.

ამ თათბირს აწერენ დიდ მნიშვნელობას, რადგან ჰფიქრობენ, რომ დემოკრატები მიიღებენ რესპუბლიკანელების მიერ მოთხოვნილ შენიშვნებს და დამატებებს, რომლითაც დადასტურებული იქნება ვერსალის ხელშეკრულობა და ამერიკა შევა ერივნებათა ლიგაში.

**სოციალიზმი და შეერთებული შტატები.**

შეერთებულ შტატებში დიდი ბრძოლა სწარმოობს სოციალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა საერთოდ მომასწა-

ვებელია მთელ [illegible] ... ბისა. ამ ცოტა ხნის განმავლობაში კანონ-მდებლობის კრებაზე პრეზიდენტმა ნიუორკში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც სოციალიზმის დოღმები სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. პრეზიდენტის აზრით სოციალიზმი მტერია ამერიკის ხალხის უმრავლესობის.

## გერმანია.

**გერმანია და საბჭოთა რუსეთი.**

საბჭოთა რუსეთის და გერმანიის მთავრობის შორის მტკიცე ეკონომიური კავშირი მყარდება ორმა გერმანიის ტეხნიკურმა ფირმებმა მიიღეს კონცესია მონოპოლიური უფლებანი საბჭოთა რუსეთში მანქანების გაკეთებისათვის და რკინის გზის ლიანდაგის განახლებისათვის. გერმანია ვალდებულია მანქანების მოწყობისათვის საბჭოთა რუსეთს მიაწოდოს ყოველგვარი მასალა, ხოლო საბჭოთა რუსეთმა კი სამაგიეროდ უნდა მისცეს 200 ათასი ტონი მატყლი.

**გერმანელთა მიტინგი მოითხოვს კაიზერის გაცემას**

ბერლინიდან გაზ. „მატენ“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ „ახალი სამშობლო“-ს ორგანიზაციამ მოაწყო მიტინგი კაიზერის გაცემის საკითხის განსახილველად. ორმა ორატორმა საზოგადო მოღვაწემ გერლიახმა და „ველტ-ამ-მონტაგ“-ის მართველობა დამოუკიდებელმა სოციალისტმა ბერშტენმა გამოსთქვეს აზრი ვილჰელმ II-ის გაცემის სასარგებლოდ.

გერლახმა იურიდიული თვალსაზრისით დაამტკიცა, რომ გერმანია, რომელმაც მიიღო საზავო ხელშეკრულობის მე 227 მუხ., ვალდებულია მოშორდეს თავისი 1914 წლის მეფეს.

ორატორმა ამავე დროს განაცხადა რომ კაიზერის რომელიმე კუნძულზე გაგზავნამდე წინ უნდა მოხდეს მისი გასამართლება უმაღლეს ნეიტრალურ სასამართლოში.

ბეოშტეინმა განაცხადა, რომ ის კაცი, რომელმაც პირადი ინტერესებისა გამო გერმანიის ხალხი ჩააგდო ახლანდელს უბედურ მდგომარეობაში, უნდა იქნას გაცემული და შეუბრალებლად გასამართლებული.

## ოსმალეთი

**კონსტანტინოპოლი.**

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ კონფერენციის სხდომებზე ირჩეოდა კონსტანტინოპოლის საკითხი. იგი თუმცა საბოლოოდ არ არის ჯერ გამორკვეული, მაგრამ უეჭველია კონსტანტინეპოლი სულთნის რეზიდენციად დარჩება.

**საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან.**

პარიზიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ოსმალეთთან შესაკვრელი საზავო ხელშეკრულობის განხილვა სამთა საბჭოში დაიწყო თებერვლის 17-ს. „აზხტ.“

**ოსმალეთის მიმართვა პაპისა და ესპანეთის მეფისადმი.**

ოსმალეთს მიუმართავს პაპისა და ესპანეთის მეფისადმი, რათა მათ იშუამდგომლონ ოსმალეთის საკითხის სასურველ გადაწყვეტაში. („ჰაკ.“).

**ოსმალეთ-აზერბაიჯანის შეთანხმების ცნობის უარყოფა.**

ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაზეთ „იკდამ“, თასფირი ეფქიარ“ და „ენი-გიუნ“-ში უარყოფს რამდენიმე სომხურ გაზეთებში მოთავსებულს ცნობას იმის შესახებ, ვითომ ოსმალეთსა და აზერბაიჯანს შორის შეთანხმება მომხდარიყოს, სამინისტრო დასძენს, რომ ოსმალეთს დღემდე არავისთან არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია და არც აქვს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური შეთანხმებების მოსახდენად.

„აზხ.“

## სპარსეთი

**ჯულფა—თავრიზის ლიანდაგი.**

გენერალ-გუბერნატორმა სპარსეთის და აზერბაიჯანის მთავრობებს მიართვა მოხსენება, სადაც ის უნიშნებს იმ დაბრკოლებებზე, რომელიც სწარმოებს ჯულფა—თავრიზის გზაზე. რეგულიარულ მიმოსვლის აღსადგენად საჭიროა მასალით დაეხმარონ აღნიშნულ მთავრობებმა და მოწესრიგდება ჯულფა—თავრიზის გზა.

**სპარსეთის დელეგაციის პატივსაცემი ბანკეტი**

თებერვლის 10-ს, საღამოს 8 საათზე გარეშე საქმეთა სამინისტრომ ბაქოში მყოფ სპარსეთის დელეგაციას პატივსაცემი ბანკეტი გაუმართა. ბანკეტს დაესწრო სპარსეთის მთელი დელეგაცია, ტაბა-ტაბაის თავმჯდომარეობით, სპარსეთის საელჩოს უფლებით

წევრები, თვით ელჩი, მთავრობის წევრები, პარლამენტის ფრაქციის ლიდერები, პარლამენტის პრეზიდიუმი, ბაქოში მყოფი დიპლომატიური კორპუსი, სამხედრო სამინისტროს და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები. პირველ სადღეგრძელოში პრემიერ-მინისტრმა უსუფბეკოვმა აღნიშნა აზერბაიჯანისა და სპარსეთს შორის არსებული ტრადიციული კავშირი, რომელიც დამყარებულია საერთო მათ ისტორიაზე, კულტურაზე და სარწმუნოებაზე. პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში 2 მეზობელი და მონათესავე სახელმწიფო ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწევენ საერთო წარმატების გზისკენ. პრემიერმა აღნიშნა სპარსეთის ის დამსახურება, რომ მან აზერბაიჯანი იცნო არა მარტო როგორც „დე ფაქტო“, არამედ როგორც „დე იურე“. პარლამენტის სახელით სპარსეთის მთავრობას მიესალმა პარლამენტის თავმჯდომარე მ. ჯაფაროვი.

თბილის გრძნობით მიესალმნენ სპარსეთის ელჩს სახელმწიფოს ა. საფიქურდსკი, ქ. კორბეილი, ტ. ბ. ალიევი, ა. ალიმოლოვი, და სპარსულ ენაზე გაჯინსკი.

მინისტრმა გაჯინსკიმ აღნიშნა, რომ ეკონომიურ ხასიათის პრაქტიკულ საკითხებში უკმაყოფილება ძველის შორისაც კი იბადეოა, და იმედი გამოსთქვა, რომ ამ ორ სახელმწიფოთა შორის ყველა საკითხში იბადება შეთანხმება. სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ტაბაკაიიმ აღნიშნა ამ ორ მეზობელ ერთა შორის საერთო ინტერესები მეგობრულ კავშირის აუცილებლობა და ხან-ხოისკიმ გამოსთქვა სურვილი ევროპასთან დაახლოვების და მჭიდრო კავშირის დაჭერის შესახებ.

უკრავდა სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

## იტალიის მისია ფინანსთა და ვაჭრ. მრეწვ. მინისტრთან.

იტალიის მისიის წევრნი ბ. ბ. გატინი—სავალიუტო საქმის მცოდნე, მაიონი საბანკირო საქმის მეთაური, პინტო — იტალო კავკასიის ბანკის რწმუნებული და ინჟ. დელ პროპოსტო პოლკ. გაზზას თანხლებით წარუდგნენ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს ბ-ნ კანდელაკს და დაწვრილებით გაეცნენ საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო და სამრეწველო საქმეებს და განიხილეს ზოგიერთი საგულისხმო საკითხები. თათბირს დაესწრო ბ-ნი მ. მაჩაბელიც.

## მომარაგების მინისტრთან.

ნაწილი იტალიის მისიის წევრებისა გუშინ იყვნენ მომარაგების მინისტრ ბ. ერაძესთან და ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ ფქვილის ფასების და ტრანზიტის ორგანიზების შესახებ. მისიასთან ერთად იყო ბ-ნი მაჩაბელი.

**1.700.000 ფუთი პური საქართველოსთვის.**

გარდა იმ 500 ტონ ფქვილისა რომელიც იტალიის მისიამ ჩამოიტანა თავის გემით, მისიის განცხადებით იტალიის მთავრობამ დაუთმო საქართველოს თვის სათადარიგო ნაწილიდან და მოკლე ხანში გამოგზავნის მეორე ნაწილს 20.000 ტონს ფქვილს ე. ი. 1.200.000 ფუთს.

## ქართულ მუზეუმში

გუშინ იტალიის მისიის თავმჯდომარის სენატორ კონტის მეუღლემ მისიის ხელმძღვანელ ბ-ნ მაჩაბელთან ერთად დაათვალიერეს წ.-კითხ. და საისტ.-საეთნოგრაფიო საზ. მუზეუმები. პატივსაცემ სტუმარს მეგზური მუზეუმის გამგე ე-ბი. გორგაძე, რომელიც ახსნა განმარტებას აძლევდა მას საქართველოს სიძველეთა შესახებ.

სენატორის მეუღლე რომელსაც თან ახლდნენ აგრეთვე მისიის წევრნი აღტაცებაში მოვიდნენ მუზეუმში დაცულ საქართველოს განძეულობით.

## მისიის გამგზავრება ბაქოს

21 თებერვალს მისიის ზოგიერთი წევრნი მიემგზავრებიან ბაქოს.

# ახალი ამბები

## პარტიული ცხოვრება

**ერ.-დემ. სტუდენტთა საყურადღებოდ.**

დღეს, საღამოს 8 საათისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე აუდიტორიაში დანიშნულია ეროვნულ დემოკრატ-სტუდენტთა და მსმენელთა არაჩვეულებრივი სხდომა. განსახილველია მორიგი საკითხები.

**პარტიულ ამხანაგთა საყურადღებოდ.**

გთხოვთ ერ. დემ. სტუდენტებს, რომელთაც წაუღიათ ახალი სარეგისტრაციო ბარათები დაუყონებლივ დააბრუნონ.

**სახელ. უნივ. სტუდენტთა გამგეობის არჩევნები.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის არჩევნები დანიშნულია კვირას 22 თებერვლისათვის. კრება დაიწყება დილის 11 საათზე ამხანაგებს ვსთხოვთ დაესწრონ.

## სამინისტროებში

**შიმშილობა თბილისის გარეუბანში.**

თბილისის გარეუბნის მცხოვრებნი დიდ შიმშილს განიცდიან. ამის გამო გარეუბნის სათემო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ერობათა კავშირის წინაშე, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს შიმშილისაგან შეწუხებულ გარეუბნის მცხოვრებთ. მინისტრის ამხანაგი დაპირდა მათ, რომ იგი იშუამდგომლებს მომარაგების სამინისტროს წინაშე

**დანიშვნა.**

მიწად-მოქმედების სასოფლო სამეურნეო განყოფილების გამგე დ. გედევანიშვილი გადადგა თანამდებობიდან მის ადგილზე ბ. ჩხაიძე დაინიშნა.

**გარეშე საქმეთა მინისტრთან.**

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს წარუდგა საფრანგეთის მისიის თავმჯდომარე პოლკ. დ,ნონას კური.

**ბათომის კონსულის ჩამოსვლა.**

თბილისში ჩამოვიდა ბათომის ყოფილი კონსული ბ-ნი ჩ. ნი[illegible]შვილი.

## დამფუძ. კრებაში

**მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტების გაუქმება.**

დამფ. კრების აგრარულმა კომისიამ დაადასტურა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც უქმდებიან თბილისის და ქუთაისის მევენახეთა და მეღვინეთა კომიტეტები და გადაეცემიან ერობებს. ალაიანის, კონდოლის, და ჩუმლაყის სანერგეები გადაეცემიან ერობებს და საქარისა კი მიწათ მოქმედების სამინისტროს დარჩება.

## ქალაქთა კავშირში

**მანუფაქტურის მიღება.**

ამ დღეებში ქალაქთა კავშირმა მიიღო 15 მილიონის მანუფაქტურა.

**ქალაქთა კავშირის ახალი ფაბრიკა.**

ამ დღეებში თბილისში დაიწყეს მუშაობა ქალაქთა კავშირის ავეჯეულობის ფაბრიკა.

## თეატრი

დღეს:

„სახელმწიფო თეატრი“ „პიკის ქალი“.

„ტარტოს“ დრამა. „ქალი იებით“.

## ცენტრობანკი

დღეს დასრულდება ცენტრობანკის აქციებზე ხელის მოწერა.

ძირითადი თანხა შეგროვდა სავსებით მარტო თბილისში, ასე რომ ხელის მოწერა აღარ გაგრძელდება.

კრედიტი ამ ბანკში ექნება განსაკუთრებით აქციონერებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ბანკის წარმატებისათვის.

**ბანკების წარმომადგენელთა კრება სამტრედიაში.** 17 თებერვალს შესდგა სამტრედიაში დასავლეთ საქართველოს საურთიერთო ნდობის ბანკების წარმომადგენელთა კრება. კრებამ ერთხმად დაადგინა რაც შეიძლება ფართო მონაწილეობა მიიღოს ცენტრობანკის აქციების შეძენაში და ფართო პროპაგანდა გასწიოს, რომ აქციები გავრცელონ ვაჭარ-მრეწველთა შორის.

## ქუთაისი

გასულ კვირაში ქუთაისში და მის ახლო მახლო დიდი თოვლი მოვიდა. რაჭა და ლეჩხუმი უგზოობის გამო მოწყვეტილია, სხვა ადგილებიდანაც სუსტი მიმოსვლა არის, რის გამო მჭადის ფქვილი ძლიერ გაძვირდა, იყო შემთხვევა, რომ ფუთი 600 მანეთს ფასობდა.

— ყაჩაღი ირაკლი ნიკოლაძე, რომელიც ქუთაისის ციხიდან გაიქცა, მაზ[illegible]ის მილიციამ [illegible] სოფ. ნავენახევში 12 თებერვალს.

— ქუთაისის რაიონის მილიციის ზოგიერთ მოხელეების შესახებ წამოაყენეს ბრალდება, რომ ისინი ქრთამს იღებენ. ამის შესახებ აცნობეს თბილისს და საქმე ძიებაშია.

— ქუთაისის სამრეწველო სამეურნეო და საურთიერთო ბანკმა შეიძინა ათი ათასი (10.000 ფუთ.) ფუთი შაბიამანი (ინგლისური). ბანკი შაბიამნს ახლო მომავალში გაუნაწილებს მეურნე მევენახეებს.

## საგვარეულო მამულის გამოსყიდვა და შემოდგომის ყურძნის აკიდო

მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს ისეთი კანონი, რომელიც უპირატესობას აძლევს მოგვარე-მონათესავეს საგვარეულო ადგილ-მამული თვითონ შეისყიდოს, თუ მას ამის შეძლება და სურვილი ექნება. ეს ერთი.

მეორე, თუ მონათესავეს ასეთი მამული სოფლად თუ ქალაქად მთლიანათ ან ნაწილობრივ სხვა გარეშე პირზე გაუყიდნია, მონათესავეს უფლება ეძლევა სასამართლოს საშუალებით გამოისყიდოს ეს გაყიდული მამული სხვა პირისაგან და გადაუხადოს მას იმდენი, რამდენიც მას, მყიდავს მიუცია გამყიდავისთვის.

ამ უკანასკნელ ხანებში, ქალაქებში მრავალი მამული ყოფილა გაყიდული უპირატესობის მქონე პირის ფორმალურ ხებადაურთველად. მაშასადამე, მას უფლება აქვს კანონის ძალით მოითხოვოს გამოსყიდვა ამ გაყიდული მამულისა.

ამასთან არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ფულის კურსი ძალზედ დაცემულია და აი ამ უპირატესობის მქონე პირებმა—მათი სახელი ლეგიონია—წაიმიზეზეს ამ კანონის არსებობა და სასამართლოებში შესაფერი საჩივრები აღძრეს. მათ კარგად იციან, რომ გაყიდული მამულის ღირებულება ლიოკვიდულია სულ ცოტას ათ მილიონ მანეთზე საკლები არ იქნება.

ამისათვის მათ გადაწყვიტეს გამდიდრების მადა და გაყიდული მამულის დასაბრუნებლად არც ფულის [illegible] და არც სხვა რაიმე საშუალებას ზოგავენ.

აი ამ იაფი გამდიდრების სურვილმა წარმოშვა მრავალი წერილი, რომელიც თბილისის გაზეთებში დაიბეჭდა, (იხ. Борьба № 17, Возрож. № 21 და სხვა); დაინტერესებული პირები პროპაგანდას ფართოდ ეწევიან და ძალიან ეტყობათ, რომ ხარჯსაც არ ერიდებიან.

„Борьба“ № 17, რომ დაუჯეროთ და რომ დაიჯერებულია ეს ცხვა გარეშე, ამ ნიადაგზე „დაუყვიათ გაფაციცებით ძებნა სახელოვანი და გამოჩენილი იურისტებისა, რომელთაც შეუძლიათ მათ სასურველით საქმის დაჩქარებით დამთავრება.

და მართლაც ამ კითხვას და ისიც ზედი-ზედ (возр. № 21.) იურისტებმა რამდენიმე წერილი უძღვნეს...

აღნიშნულ წერილებს და სხვებსაც ეტყობათ, რომ ისინი იცავენ მოპასუხეთა ინტერესს.

ამნაირად საქმე გაიჩარხა, მოპასუხე-მოსარჩელემ ვექილები დაიხმეს; მოპასუხეთა ვექილები პრესაში ალაპარაკდენ მოსარჩელეთა ვექილებმა სადაც ჯერ არის თხოვნები შეიტანეს, ისინი საქმეს ჩუმათ აკეთებენ. პრესაში არ გამოდიან, არ ყვირიან.

ერთსაც და მეორესაც ნებით თუ უნებლიეთ საზოგადოებაში მომხრეები ჰყავთ: ზოგი შეცდომით და ზოგიც სხვის ფეხის ხმის აყოლით. საზოგადოება ალაპარაკდა, ატმოსფერა გაიქდინთა: ფული და მისი ხარჯის დიოდი არავისა არა აქვს და განა სახუმროა: ერთი მხარე მილიონობით აგებს, მეორე მილიონობით გებულობს უფასურათ გროშებათ მამულს ხელში ჩაიგდებს! შემოდგომა დადგა, უხვი მოსავალია ყურძნის აკიდო ყველას ერგება: მთქმელსაც, დამცველსაც მოპასუხესაც, დამწყურსაც, ყველას, ყველას, ვისაც ამ განგაშში რაიმე ნაირი მონაწილეობა აქვს მიღებული, ან მიიღებს.

მოპასუხეებმა კანონის უვარგისობაზე იწყეს მძლავრად ლაპარაკი და მისი უვარგისობა თავად აზნაურობას მიახვიეს: ეს კანონი მათ ინტერესების დასაცავად იყო გამოგონილი, ამისათვის ეს კანონი უნდა მოისპოს,—გვიქადაგებენ, ამით თავიანთი კლიენტების და თავის ინტერესების დაცვა სურთ.

რაკი თავად-აზნაურობაზე მიდგა საქმე მოსარჩელის ვექილები და მათი მომხრენიც ეთანხმებიან მათ უთუოდ უნდა მოისპოსო, მაგრამ თავიანთი ინტერესების დასაცავად, მგონი დარცხვენით, ლაპარაკობენ: მოისპოს მომავლისთვის, რადგანაც ის თავადაზნაურებისათვისაა გამოგონილი, მხოლოდ უკუმსვლელობის ძალა ნუ ექნება: მათ რა ენაღვლებათ საჩივრები ყველა შეტანილია, სადაო საგანი ამოწურულია, რაც საშოვნია ყველამ იშოვნა, მეტს არასფერს არ მოელის და თავადაზნაურობასა და მის დამცველ კანონს ჯოჯოხეთამდის გზა ჰქონია. Sancta simplicitas!

რა შუაშია აქ თავადაზნაურობა? თითქოს აზნაური და გლეხის ფსიქოლოგია სხვა და სხვა იყო შეძენის, გამდიდრების, კეთილ დღეობის სფეროში!

ვის არ უნდა ქონების შენარჩუნება? ვის უნდა ღვიძლი ძმის, დის ბიძაშვილის, მოგვარესი მაგივრათ ვიღაც უცნობის, გადამთიელის გვერდში ამოსკუპება?

ჯერ ჩასიძებულის წინააღმდეგ აქაც, იქაც, სოფლად და ქალაქად ერთი განგაშია ატეხილი, „ეს ვინ მოსულოო“, ლაპარაკობენ და განა ჩვენი გლეხის ფსიხოლოგია, ეს იმ გლეხის, რომლის დამცველათ, ვითომც ორივე მხარე გამოდის, გადამთიელს შეეგუება, თუ მას რაიმე საშუალება მოეძებნება, მამულის შესაძენათ.

ეს ვინ მოიგონა? ვინ მოჩმახა? აქ გლეხის ინტერესის დაცვა კი არა, პირველ ყოვლისა თავის ინტერესის დაცვაა და სხვა არაფერი!

თვითონ ის გლეხი, რომლის დამცველად, ვითომც ისინი გამოდიან, ხარ დაცემული ამ „თავად-აზნაურობის დამცველი“ კანონის მოსპობით კარგათ არ დალოცავს მომსპობს.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ ოდნავ ცოდნა გლეხის (ადამიანის) ფსიხოლოგიისა.

აი როგორ ხელოვნურად, ანგარებაზე დამყარებულით შეიქნა, შემუშავდა აღნიშნული კანონის მომსპობი დეკრეტი, რომელიც პირადი ინტერესებით გაჟღენთილი ამ დღეებში წარუდგება დამფუძნებელი კრებას დასამტკიცებლად.

მოხსენებულ ხელოვნურობას უთუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს, უნდა იქნეს გათვალისწინებული მართლაც გლეხის (ადამიანის) ფსიხოლოგია.

გაკადნიერება არ იქნება ორწმუნება, რომ გლეხის ფსიხოლოგია ამ კანონის მოსპობას არ შეეგუება, ეს მისთვისაც და მისი თავმოყვარეობის, მისი დასაკლავი დანა იქნება.

ეს ასეა და ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ გამოსავალი სად არის, სპეკულიაციამ ამ ნიადაგზე თავი აიშვა და ლაფის მოუდი და მართალი ერთად გადაყლაპოს?

ამის წამლის გამონახვა დაკვირვებულ კაცისათვის ძნელი არ არის; საჭიროა მოფიქრება, მოაზრება.

დაუკვირდეთ საქმეს: კითხვა გამწვავებულია მხოლოდ და მხოლოდ ფულის კურსის დაცემით და რადგანაც გამდიდრების სურვილით გაჟღენთილებს უნდათ ამ კანონით უცლად ისარგებლონ, მათ ხლომას ალვირი უნდა აედვას:

ჩვენი ფული ხომ მუდამ დაცემული არ იქნება, ერთხელაც არის წელში გამაგრდება, გაუთანასწორდება სხვა თავის ძმებს ფულებს და აი მაშინ დღევანდელმა სპეკულიანტებმა გამოიყიდონ საგვარეულო მამული, თუ ამისი შეძლება ექნებათ; ამ შემთხვევაშიც მყიდავი მოპასუხეც არ იქნება დაზარალებული, რადგანაც თავის მიცემულ ნაღდ მანეთში ის მიიღებს ნაღდ მანეთს.

ამისათვის ყველა საჩივრები დროებით უნდა შეჩერდეს!

აი უებარი წამალი, აი ღირსეული გამოსავალი ამ სპეკულიაციის მორევიდან.

ამას უნდა მიექცეს უფრო ყურადღება, თუ არ ვისურვებთ იმას, რომ ვისმეს ჩირქი მოეცხოს და გლეხებში მოსალოდნელი აურ-ზაურით თვით დამფუძნებელი კრებას საწყენი არ შეხვდეს!

**ნიკოლოზ გაბუნია.**

## სასამართლოში

**სტოლერმანის ცოლის მკვლელობის საქმე.**

წინასწარი გამოძიება სახელმწიფო თეატრის დირიჟორის სტოლერმანის მიერ თავის ცოლის მოკვლის საქმისა დასრულდა და პროკურორის კამერამ უკვე შეადგინა საბრალმდებლო აქტი, რითაც მტკიცდება, რომ მკვლელობა წინასწარ განზრახული მიზნით არის ჩადენილი. საქმე საბრალმდებლო აქტით გადავა დროებით საგანგებო სასამართლოში. ბრალდებულს იცავენ ნაფიცი ვექილები: შ. ალექსი-მესხიშვილი, მანდელშტამი, ვ. გ. რუტკოვსკი და ბ. ემუხვარი.

**გრიგოლ ვეშაპელის და კაჩუხაშვილის საქმე**

ოთხშაბათს თებერვლის 18-ს თბილისის საოლქო სასამართლო პალატამ გაარჩია მოქალაქე გრ. ვეშაპელისა და ბ. კაჩუხაშვილის საქმე.

როგორც ვიცით ეს საქმე გაარჩია თბილისის საოლქო სასამართლომ, რომლის განაჩენით უკმაყოფილო კაჩუხაშვილმა პალატაში საქმე ხელ-ახლად გაასაჩივრა.

მოწმეებად მიწვეულნი იყვნენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნ. რამიშვილი, ს. ჯიბლაძე, გ. მაჩაბელი, გ. ამირეჯიბი და სხ.

ვეშაპელის ინტერესებს იცავდა ი. ჯავახიშვილი, მოსარჩელე კაჩუხაშვილისას კი ნაფიცი ვექილი ბეზურიშვილი.

მოწმეთაგან ბბ-ნი ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი არ გამოცხადდნენ.

მოწმე გ. ამირეჯიბმა აჩვენა, რომ ბ-მა კაჩუხაშვილმა შეთხზა ბაგრატიონ-დავითაშვილისა და მათი ჯგუფის მოღალატეობის ამბავი და ამით დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილ პირებს.

საერთოდ მოწმეები ამ ბრალდების გარდა ბრალსა სდებენ ბ-ნ კაჩუხაშვილს ქრთამების აღებაში.

ბეზურიშვილი აღნიშნავს, რომ გ. ვეშაპელის მიერ გაზეთ „კლდეში“ მოთავსებული ცნობა კაჩუხაშვილის მექრთამეობისა, და მის მიერ პროვოკაციულ ამბის შექმნის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება, ის ბრალსა სდებს გ. ვეშაპელს, რომ მან ამით ჩირქი მოსცხო ბ-ნ კაჩუხაშვილს. ის ამტკიცებს, რომ ბაგრატიონ-დავითაშვილის საქმის გამოგონებაში კაჩუხაშვილს ბრალი არ მიუძღვის და რომ მან მხოლოდ შეასრულა მთავრობის დადგენილებანი.

ქრთამებიო ამბობს იგი, ბ-ნ კაჩუხაშვილს არ აუღიაო. მან მიიღო მრეწველ სესიევისაგან 4,000 მან. აქედან დაიიზხულებისამებრ 2,000 მ. სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა და 2,000 მილიციის საჭიროებისათვის დახარჯაო.

მას ცალმხრივად მიაჩნია საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, და სთხოვს პალატას მეტის ყურადღებით მოეპყრას საქმეს და ბ-ნ ვეშაპელს სათანადო მსჯავრი დასდოს.

მოსარჩელე კაჩუხაშვილი უსაფუძვლოდ აიხსნა, ის ირწმუნება ვითომც მას შეუთხზავს ბაგრატიონ-დავითაშვილის მოღალატეობის ამბავი. იგი აღნიშნავს, რომ ის პირიქით ეწინააღმდეგებოდა კიდეც მათ დაჭერას.

ქრთამის აღების შესახებ ის ამტკიცებს, რომ მას არც ერთ დასახელებული პირისაგან ქრთამი არ მიუღია.

სესიევისაგან მას ის 4,000 მან. ქრთამად კი არ მიუღია არამედ შემოწირულება საიდანაც 2,000 მან. გადასცა ს. დემ. ცენტრალ. კომიტეტს, რადგან მე თვითონ ვიყავ იმ ორგანიზაციისა, რომელმაც მე ასეთი საპასუხისმგებლო ადგილზე დამნიშნაო.

ამასთანავე დასძენს რომ მისი უფროსობის დროს მილიციის შტატი მოუწესრიგებელი იყო, მოხელეებს ზედმეტს ვამუშავებდი და ამისთვის 2,000 მ. მათ დაურიგე ზედმეტ [illegible]მარობისათვისო.

ვეშაპელის მის წინააღმდეგ გალაშქრებაში იგი პოლიტიკურ ხიდაგს ეძიებს. და სთხოვს პალატას აღადგინონ მისი შელახული სინიდისი და მისი ჩირქის მომცხები სათანადოთ დასაჯონ.

დამცველი ი. ჯავახიშვილი, აღნიშნავს რომ მისი დანიშნულებაა მხოლოდ ვეშაპელის გამართლება და არა მოპირდაპირის გამტყუნება. ის აღნიშნავს, რომ არ არის მართალი ვითომც ვეშაპელს სურდა კაჩუხაშვილის წინააღმდეგ გალაშქრებით, ს.-დემოკ. პარტიისათვის ჩირქი მოეცხო. ასე რომ მდომოდა ს.-დემ. უფრო დიდი ლიდერები ჰყავთო.

ჰქონდა თუ არა საფუძველი ბ-ნ ვეშაპელს ეფიქრა რომ ბაგრატიონ-დავითაშვილის საქმეში კაჩუხაშვილის ხელი მოქმედებდა?

მინისტრმა შესაძლებლად დაინახა, ბაგრატიონ დავითაშვილის განთავისუფლება, მაგრამ ამას წინ აღუდგა ბ-ნი კაჩუხაშვილი, და მინისტრმაც დირექტორის წინაშე ქედი მოიხარაო. ამის შემდეგ ვეშაპელს შეეძლო ეფიქრა, რომ ამ საქმის სულის ჩამდგმელი კაჩუხაშვილი იყოვო.

**ქრთამების შესახებ.**

ალიხანოვის ცოლს ეთქვა ქელბაქიანისათვის, რომ, მე კაჩუხაშვილს ცოლის საშუალებით 7,000 მ. გადავეცი და ისიც შემპირდა, რომ ამა და ამ დღისათვის თქვენ ქმარს გავათავისუფლებთო და სწორედ იმ დღეს გაათავისუფლეს და ამის შემდეგ ქონდა თუ არა ვეშაპელს უფლება ეფიქრა რომ კაჩუხაშვილმა ქრთამი აიღოვო.

სესიევიდან აღებული 4000 მ. 2,000 მ. ს. დ. ცენტრ. კომიტეტისათვის გადაუცია, 2,000 მანეთიც მილიციის საჭიროებისათვის დაუხარჯავს, ზოგი ზედმეტი სამუშაოსათვის და ზოგიც სხვა რამისათვის. რატომ ბ-ნმა კაჩუხაშვილმა ხაზინაში არ შეიტანა ეს ფული,

ასეთი მოქცევა არ [illegible] კაჩუხაშვილს.

**რატომ დაითხოვეს ბ-ნი კაჩუხაშვილი?**

1918 წ. 20 დეკემბერს, კაჩუხაშვილს თხოვნა შეუტანია ვინაიდან გაზეთ „კლდეში“ ჩემს შესახებ ცუდი ცნობები იყო ამიტომ ნება მომეცით სანამ არ გავმართლდები თანამდებობას თავი დავანებოვო.

ეს არა საბუთი იმისა ვიფიქროთ რომ, მან სამსახურს თავისით დაანება თავი. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ სხუმის ასეთ შემთხვევაში ის სხვანაირად მოიქცა.

სახელდობრ 1916 წ. გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო“ უაიესი დასხვრა ბ-ნ კაჩუხაშვილის შესახებ, მაგრამ ამის შემდეგ ის კი არ გადამდგარა უფრო საპასუხისმგებლო ადგილზედ გადავიდა.

ის რომ ორი თვით დასასვენებლად წასულა არავის გამოთხოვებია და მის თანაშემწის კითხვაზე რატომ არ გამოეთხოვა თანამშრომლებს ბ. კაჩუხაშვილიო მინისტრის ამხანაგს უპასუხნია მეც მასავე ვეკითხებოდი, მინისტრის რომ ჩემთვის მოულოდნელად წინადადება მოეცა სამსახურს თავი დაანებეო.

და ყველა ამის შემდეგ ჰქონდა თუ არა ბ-ა ვეშაპელს საბაბი ეფიქრა, რომ ბ-ნი კაჩუხაშვილი მექრთამეობისათვის სამსახურიდან დაითხოვესო? მე ვიტყვი რომ ქონდა და ამისთვის მისი ბრალდებულის სკამზე დასმა შეუძლებელიაო.

**გ. ვეშაპელი.** მე სესიევის საქმე დამტკიცებულად მიმაჩნია. ვინაიდან ბ-ნი კაჩუხაშვილი უარს ვერა ჰყოფს თავის ხელმოწერილ საბუთს, რომელშიაც ის ამბობს, რომ მან სესიევისაგან აიღო 4000 მ. და ს. დ. პარ. და მილიციის მოხელეთა შორის დაანაწილა.

ის ფაქტია რომ მან აიღო ეს ფული მაშინ, როდესაც სესიევს საქმე ჰქონდა მასთან და მას იმისათვის საქმე უნდა გაეკეთებინაო. ამას ქვია თუ ქრთამი არა, როგორც რუსები იტყვიან „вымогательство“-ო, ტაგიევი, რომლის ხსენებაც გაურბოდა ბ. კაჩუხაშვილი და მისი დამცველი არის ფულ კაცი მრავალ სხ. და სხვა საკონფისკაციო საქმეებში, და ბ-ნ კაჩუხაშვილის ხუშ-კაციც ის იყოვო.

არაა მართალი ვითომც კლდის ცნობის შემდეგ, თავისი სურვილით გადადგა ა. კაჩუხაშვილი:

რატომ ასე არ მოიქცა ის და არ გამოვიდა ნაფიც ვექილთა კოლეგიიდან?

ბ-ნი კაჩუხაშვილი თავის სახელს ს.-დ. პარტიასა და მთავრობას უკავშირებს, და ამით ვითომც დიდ დავალებას უკეთებს მათ, მაგრამ მათ დააფასეს მისი მოღვაწეობა იმით რომ ბ-ნი ჟორდანია და რამიშვილი, მოწმეებადაც კი არ მობრძანდნენ—ამით მათ სთქვეს ის თუ როგორ აფასებენ ბ. კაჩუხაშვილს, პარტიისათვისა და მთავრობისათვის.

სხდომა წყდება სრულ ექვს საათზე.

პალატის თავმჯდომარე აცხადებს, რომ განაჩენს გამოიტანენ არა უგვიანეს 25 თებერვლისა.

## ბალკანეთის მდგომარეობა

II

მსოფლიო ომის დროს, ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებში ყველაზე დიდი გაჭირვება განიცადა პატარა სერბიამ, რომელიც მდებარეობს სხვა სახელმწიფოთა შორის, არა აქვს გასავალი ზღვაში და შეზღუდულია ყოველის მხრით. მისი შვილების სიყვარული სამშობლოსადმი იმ ზომ უზომოა რომ შოვინისტობამდისაც კი ადის და აკი სერბიელი, ბერძნები, რუმინები და ბულგარები შეუგნებელ შოვინისტების სახელით ჰნათლავენ. სერბიელი ამბობს: მზე მხოლოდ სერბიისთვის ანათებსო და ვერ ჰნახავთ ვერც ერთ სერბიელ ჯარის კაცს და აფიცრებსაც კი, რომ მკლავზე ან გულზე თავის პატარა სამშობლოს სახელი არ ჰქონდეს ამოჭრილი.

გასაკვირველი სიმამაცით და სტოიციზმით ამ ოთხი წლის განმავლობაში პატარა სერბია ებრძოდა ავსტრიელთ ბულგარელთ, ოსმალოს. სერბიის მოკავშირე სახელმწიფონი, რომელზედაც ისინი ნათელ იმედებს ამყარებდნენ, ხშირად ვერ აწვდიდა მათ საჭირო სურსათს, ან ცოცხალ ძალას და იარაღს და ამიტომ ხშირი გამარჯვების შემდეგ მოჰყვებოდა ხოლმე სასტიკი დამარცხება. ეს დამარცხება უფრო გახშირდა 1915 წლიდან, როდესაც ბულგარეთმა ზურგიდან მოუარა და შეიჭრა სერბიის ტერიტორიაზე თავის ჯარით.

მდგომარეობა გართულდა. მამაც სერბიელებმა იმედი მაინც არ დაჰკარგეს და შეებრძოლნენ ახალ მტერს. მაგრამ ამაოდ. მათი მცირე რიცხოვანი ჯარი ვეღარ ასდიოდა მოზღვავებულ მტერს და ქვეყნის შუა გულში იხევდა.

მეფის და ხალხის ურთიერთობა ამ დროს უფრო უკეთეს პირობებში იყო, ვიდრე ბულგარეთში. თუ ბულგარეთის მეფე სძარცვავდა ქვეყანას, წინააღმდეგ, მოხუცი და ყველას საყვარელი მეფე პეტრე სერბიისა ჯართან ერთა

იჯდა თხრილებში და ამხნევებდა მამაც მებრძოლთ. მისი ერთი შვილიც კი დაიღუპა მტრებთან ომის დროს და ყველა ეს გარემოება აფრთოვანებდა სერბიის ჯარს.

მთელი სერბიის ტერიტორია სამხრეთ პატარა ნაწილის გარდა, დაჭერილი იყო მტრისგან და ამ დაჭერილ ადგილებში მოწინააღმდეგენი სიბოლოოდ ანგრევდნენ და არბევდენ ყველაფერს. მტრის ხელში დარჩენილ მცხოვრებთა მდგომარეობა აუწერელი იყო, სოფლებს ანადგურებდნენ მცხოვრებთ განურჩევლად დიდსა და პატარას ჟლეტდნენ. ამ მხრივ სერბიის გაჭირვება უფრო მძიმე იყო ვიდრე ბელგიისა.

შეჩერდა ცხოვრება, შესწყდა ვაჭრობა, მეურნეობა. გამეფდა შიმშილი და ავადმყოფობა.

თვით სერბიელი ტყვეებიც ასობით იხოცებოდნენ შიმშილით და ზედმეტ მძიმე მუშაობით მტრის ქვეყანაში.

მაგრამ, დამარცხდა მტერი და ხელშეკრულობის ძალით დასცალა სერბიის ტერიტორია. ლტოლვილნი და ტყვეები დაუბრუნდნენ თავიანთ მიწა-წყალს. სერბია ზეიმობდა ძვირად დამჯდარ გამარჯვებას და საზავო კონფერენციიდან ჯილდა ჯილდოს. ეს ჯილდო მიილო. მიიღო ზღვაში გასავალი, მაკედონია და სხვა, მაგრამ დიდხანს ვერ მოაწესრისგებს თავის შინაურ საქმეებს სერბია, დიდხანს ვერ ჩადგება ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში, რადგან სერბიელნი თავიანთ ქერქში არ არიან და თუ წინად დიდი რუსეთი „ჰფარველობდა" მას, ეხლა თვით იტავა ეს როლი რუსეთის მიმართ. მთელი დივიზია მოხალისეებისა ამ რამდენიმე თვის წინად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გაემგზავრა რუსეთში, დენიკინის დასახმარებლად და „დიდი რუსეთის" აღსადგენად.

აქ გვაგონდება ზედგამოჭრილი მახვილი ქართული ანდაზა.

არჩილ მაჭავარიანი.

# საქართველოს საყდარი

I.

მე სრულიადაც არა ვარ კლერიკალობის თაყვანისმცემელი, მაგრამ რომ ვხედავ საყდრის მშიერ მსახურს, მისდამი ღრმა თანაგრძნობით ვიმსჭვალები.

რა დააშავა, რომ ლუკმა პური დაენატრა? განა მან არ შექმნა ეროვნული უხრწნელი ძეგლები ქვა-აგურის თუ ეტრატ-ქაღალდისა? განა იგი არ იყო და არ არის საქართველოს მადიდებელ სახუროთმოძღვრო და სამწერლო ნაშთების მუქთი ყარაული და მცველი?

განა ჩვენი გრძელ-ცხოვრების მანძილზე საყდრის წიაღი არ იყო ქართველ ერის პარლამენტი? განა მართლაც ასეთი არ იყო დღეობები სვეტიცხოვლისა, ალავერდისა, თეთრ-გიორგისა, გელათისა, ილორისა? განა ამ დღეობებში არ ჩამოყალიბდა ის ჰანგი, რომელმაც მოგვიყვანა დღევანდელ თავისუფლებამდე? განა უმეტესი ნაწილი დღევანდელ ქართველ ბელადებისა ჩვენი საყდრების კალთაში არ დაზრდილან და მის წინ ხელდახელ მოწყობილ მასლაათებზე არ გამოწაფულან სამჭევრმეტყველოდ, საქადაგებლად, ქართველ ერის წინ გასაძღოლად?

და, ბოლოს, საყდრის მსახურები არ იყვნენ, რომ მარადის ბრძოდნენ შავ ბნელ რეჟიმს და მათ მიერ გამოგლეჯილი თავისუფლება ეკლესიისა ხომ კიდეც შეიქმნა წინამორბედად თვით პოლიტიკურ განთავისუფლებისაც.

საყდრის მსახურთა ამ დიად ღვაწლს ჰხედავენ და აფასებენ მოხულები იმ ევროპიდან, რომელთანაც უმანდელ კავშირის განახლებას ვაპირებთ. განახლებას მეთქი, ვინაიდგან ამისთანა კავშირის დამდებელნიც იყვნენ ძველი დროის საყდრის მსახურნი, უჩინებულესი ილარიონი, ეფთვიმე, გიორგი, პეტრიწი და სხ.

საყდრის მსახურების ღვაწლითა და რუდუნით ადრევე ჩამოყალიბდა ის დიადი ქართული კულტურა, რომელიც საზეპურო ერის სახელს გვიხვეჭავს ყველგან.

ჩვენი საყდარი არასდროს არ ყოფილა თავისუფალ აზრის შემავიწროვებელი, გამრიყი. ჩვენში არ ყოფილან ევროპიული ინკვიზიციები, სარახმი და კოცონები. ჩვენში განდეგილი ბერი თორნიკები სამშობლოს სადიდებლად ხალისით ტვირთულობდნენ სარდლობას და ბნელეთის მსახურთ მწარე ფიალას შეასმევდნენ. ჩვენში ღვდელმთავრები შეცვივოდნენ ხოლმე ბრძოლის ცეცხლში ჯვრითა და ხმლით, რომ თავის მაგალითით გაემხნევებინათ თავისუფლებისათვის მებრძოლი მოძმეები.

ჩვენებურმა ქრისტიანობამ ადრევე აართო ელლო ქვეყნის წინწაწევის საქმეს: დასავლეთშიაც (ათონს) და აღმოსავლეთშიაც (პალესტინას, სინას), გაიჩინა სამოღვაწეო კერიები და რაც პირველს იდევნებოდა, იმავეს შეივსებდა აღმოსავლეთში, ამ ჭეშმარიტ გმირების—როსტომის, ამირანის, ტარიელის და სხვ. სამშობლოში.

ამ გზებით და მერე კიდევ ბაღდადით შემოდიოდა ჩვენში კაცობრიობის გონებრივი მონაგები. მდიდრდებოდა ჩვენი ქვეყანა თარგმანებით, ადყვავებოდა ტაძარ მონასტრების კედლები საკვირველ ჩუქურთმითა და საოცარ ხვიულებითა და მხატვრობით, იმოსებოდა ნაზი ფერადებითა და ყვავილებით ეტრატოვანი წიგნები, მიქელმოდრეკილისთანა ჰიმნოგრაფების კალამს ქვეშ იქნებოდა და უღრესად ვითარდებოდა ღვიძლი ქართული ენა. აქ, საქართველოში, ათონს, პალესტინას, სინას სამღვდელოებას შეუქმნია იმდენი გონებრივი საუნჯე და ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომ მათი ფულად შეფასება შეუძლებელია, მილიარდებს უნდა სჭარბობდეს ეს საკულტურო ნაშთები.

სიტყვით, საქმე ქართველ სამღვდელოებისა იმდენად თვალსაჩინოა, დიდი და საპატიო, რომ ბრალია მის დღევანდელ შთამოების უყურადღებოთ დატოვება, გაუმართლებელია საკათალიკოზოს მიანაბრება მხვერპლად შიმშილისა და სიცივისა სწორედ დღეს, როდესაც ყველა ჯურის ქართველს კმაყოფილების ღიმი უნდა უკრთოდეს პირისახეზედ.

ჩემის ფიქრით, სათანადოა დამფუძნებელმა კრებამ სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც, ვიდრე საქართველო სრულიად ჩამოყალიბდება დიდ მოლიან სახელმწიფოდ, აძლიოს სამღვდელოებას ჯამაგირი ისე, როგორც აძლევს საერო წოდების მოხელეებს. ეხლანდელი დრო შეუფერებელია ეკლესიის ცალკე გამოსაყოფად. პირიქით ყველანი ერთ უღელში უნდა შევებნეთ, რომ სახელმწიფოს შენება პირიანად და საერთო ძმურ ჰოოპენით დავაგვირგვინოდ.

საქართველოს საყდარი ძლიერი იყო იმ მიზნებით, რომელსაც ემსახურებოდა ყოვლის ცნობიერებით. ხოლო ამ მიზნების მისაღწევად მიჰმართავდა ისეთ ზომებს, რომელიც ფრიად სასარგებლო იყო ერისთვის.

თავდაპირველად თითქმის ყველა სასულიერო პირი მკურნალი იყო, მით ახდენდა „სასწაულებს" და რწმენას უმტკიცებდა ხალხს. თვით წმ. ნინო იყო ხელოვანი მკურნალი. ამავე სამკურნალო მიზნით ყოველ კეთილზავებულ ადგილს, მეტადრე მთა-ბორცვების მწვერვალებზე შენდებოდა საყდარი მისის „ძრიელის ხატით", და მლოცველს, ავადმყოფს-კი ჰკურნებდა არა ეს ხატი, არამედ ათასი ხელშემწყობი გარემოება, ვით: მშვენიერი სახილველობა ბუნებისა, კეთილზავებული ჰაერი, სამკურნალო წყარო, რომელიც უსათუოდ ამოჩუხჩუხებდა ამ გვარ ადგილებში, ფეხით სვლით ტანის ვარჯიში ბუნების წიაღში, შედარებით კარგი საჭმელი, სასმელი ტანის დაბანა (სალოცავზე წა'ვლის წინად), რაღა თქმა, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თვით წინასწარ შთაგონებასაც შესახებ მშვენიერად მოჭედილ და შემკულ ხატის ძლიერებასა, მის ყოვლად შემძლებლობისა.

ამ გვარ მკურნალობას მრავალი სიცოცხლე გადურჩენია უდროვო სიკვდილისაგან და ამ მხრივ დამსახურება ჩვენის მონასტრებისა და ხატებისა ერის წინაშე უაღმატებულესია. კაცი მართლაც გრძნობს რაღაც სულიერ და ხორციელ განახლებას, როდესაც ადის. მაგ., ზედაზენს და მყის თვალწინ ეშლება შორი არე-მარე ქართლისა, თბილისისა და სხ. ლამაზი ადგილებისა. ან იმისთანა ალტაცებას. ნეტარებას სად იგრძნობს კაცი, როგორსაც გორისჯვარში, რომლის წინ სახილველი გადაჰქრის მთელს შიდა ქართლს კავკასიონის მწვერვალამდე. აქ სწორედ იკურნება ადამიანი და რაღაც ტან-შემჩატებით ეშვება დაბლობარებისაკენ, თუმცა იდუმალებით აღსავსე ჩურჩული იქაურ წყაროსი ჯერ ისევ დიდხანს არ შორდება ყურებს.

ასეთი მცოდნენი იყვნენ ბუნების ზედ-გავლენისა ადამიანზე ჩვენი საყდრის მსახური მამები და ამისთანა თვალ-წარმტაც, მომხიბლველ ადგილებზე აშენებდნენ წმ. ხატებს, უმეტესად კი საქართველოს მფარველ წმ. გიორგისას.

ჩვენს საყდრის მსახურნი აგრეთვე იყვნენ შესანიშნავი მეურნენი და ფრიად ხელოვანი ჰიდრავლიკები და ხუროთმოძღვრები.

მივიდოდნენ რა უწყლო, უდაბურ და კლდოვან, ხრიოკ ადგილებში, იდენდნენ წყაროებს, ან გამოჰყავდათ თუ არხები, აშენებდნენ ვენახ ზვრებს, აგებდნენ დიდებულ საყდრებს და საცხოვრებელ ბინებს. მაგალითად საკმაოა დღევანდელი გარეჯა, რომელიც დავითამდე იყო მხოლოდ უშენებელი და უწყლო უდაბნო.

ხშირად კი თვით კლდეებსა და კონცხებს ასწორებდნენ, იწვას აყრიდნენ და მეურნეობას აყვავებდნენ, ანდა სახლდებოდნენ უღრან ტყეში და მალე მათ გარშემო შენდებოდა მთელი დაბა-სოფლები.

მაგრამ აშენება-მოწყობის შემდეგაც საყდრის მსახურები უსაქმოდ არ რჩებოდნენ: ზოგი მუშაობდა ზვრებ-ბოსტნებში, ზოგი აზავებდა მელანს ან ხაზავდა ეტრატს, გადასწერდა წიგნს, ზოგი წიგნებს ხატავდა თუ კაზმავდა, სხვა კიდევ საყდრის სკოლაში ასწავლიდა სოფლებიდამ მოგროვილ ყმაწვილებს.

და ხწორედ ეს სწავლება ერისა იყო ჩვენი სამღვდელოების უმთავრესი დანიშნულება.

საყდრის კათედრიდამ თუ მრავალ სკოლების ტვარცხლბეკიდამ ერს უნერგავდნენ კეთილ-ზნეობას, ასწავლიდნენ ერთურთის ძმობას, სამშობლოს სიყვარულს, შრომის ხალისს, ქურდობის, ავაზაკობის, გახშის მიდევნის დამღუპველობას და სხ. ამისთანა ქადაგებამ ერთხანს კიდეც გასჭრა და თამარისა, მის მამის გიორგისა და შვილის ლაშას დროს ავაზაკობა-ქურდობა სრულიად მოისპო, ვინაიდგან „მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის, დროშათა ქვეშე დადვის". ასე იყო არა თუ მარტო ბარში, არამედ მთაშიაც, რადგან „ოვსმან მთიულმან" და ყივჩაყმან და სვანმან ვერ იკადრიან პარვა". (ივ. ჯავახიშ. ქარ. ერის ისტორია, 642. ქ. ცხ. 312: „თამარის ჟამთა არა იყო მიმძლავრებული დამძლავრებული, არც მიმტაცებელი, არცა მიტაცებული, არცა მეკობრე და მპარავი".

საყდრის კათედრიდამ მუდამ ესმოდა ერს ნიმუშები მჭერმეტყველებისა და ენამზეობისა და თვითონაც ითვისებდა ამ მჭერმეტყველობის ქცევებსა და წესებს, და მას შორისაც მრავლად ჩნდებოდა მჭევრმეტყველი, იგეთი, მაგ., ვით ათენტი (6 ს.), რომელიც თავის ენაწყლიანობით ხიბლავდა მსმენელებს

სამღვდელოებას შეჰქონდა ხალხში არა მარტო გონებრივი განათლება, არამედ სულიერიც: განათლება ისე რომ ორივე გზით—განათლებისა თუ განათვლის—შეჰყავნდა ერი ნათელში. და ისიც არა მხოლო ღვიძლი ერი; არამედ დაპყრობილიც.

ამ დაპყრობილ ხალხების მმართველებად ხშირად ინიშნებოდნენ საქართველოს განათლების მინისტრები—მწიგნობართ უხუცესები ჭყონდიდლები ან ბედიელ, ალავერდელ მთავარეპისკოპოსები. მაგალ. დავ. აღმაშენებელმა „გამგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა შირვან შემახიისა დაადგინა მწიგნობართუხუცესი სვიმონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი (ქ. ცხ. 252).

ამნაირადვე ჯერ ისევ მეხუთე საუკუნეში ქართლ—ჰერეთის ერისთავად იყო მთავარ ეპისკოპოსი გლონოქორ (სამი ქრ. 28), კახეთის პირველ მთავრებად იყვნენ ქორ-ეპისკოპოსები, დაახლოვებით 886 წლისა სამცხის გამგედ იყო მაწყვერელი მიტრაპოლიტი გიორგი შუ-რტყლელი (ჩვენი მწერლ. 41; ტფ. უნივ. მოამბე № 1—109), ნუხის ხანების წინაპარად იყო ვითაც ბერ-მონაზონი (1441 წლ.).

ამ სასულიერო [illegible] საქმე იყო ხალხის არა ძალდატანებით მოქცევა ქრისტეს სჯულზე, არამედ დამყარება მასში წესისა და კეთილზნეობისა საქრისტიანო შვენიერების მიხედულობით. გიორგი მაწყვერელმა „ხელთ იდვა რაჲ განგებად სამცხისა, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი ქით-რცა წეს იყო და დაიპყრა ყოველი მამული".

ასრევე იქცეოდნენ ალბაგ ადირბეჟანის ჭყონდიდლები, აგრეთვეჩაჩანთა განმანათლებელი ასსის ეპისკ. გიორგი (830 წ.), ოსეთის და ზემო-რაჭის მაკურთხეველი, ნიქოზელი, დიდოეთ-დაღისტნის განმანათლებელი ნეკრესელი.

ჯერ ისევ ნინომ უანდერძა სვეტიცხოველს: „არა ბრძანებულ არს მახვილისა აღებაი, არამედ სახარებითა და პატიოსნითა ჯვრითა ვუჩვენოთ (წარმართებს) გზაი ჭეშმარიტი მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ; და მადლმან ღვთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა". (ქ. ცხ. 97). ამ ანდერძს მტკიცედ ასრულებდა ქართველი სამღვდელოება. მხოლოდ ორიოთ მაგალითი იცის საეკლ. ისტორიამ ძალმომრეობით მოქცევისა, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოქმედებდა ნება არა სასულიერო, არამედ საერო პირთა.

ერთი ამათგან იყო მეფის ერისთავი, რომელმა „მცირედ წარმართა მახვილი" და „ძლევით შემუსრნა კერპნი" ქართალელთა და სხ., ხოლო მეორე იყო დინარ დედოფალი (X ს.), რომელმა მოაქცია ჰერეთის (ქიზიყის) მონოფიზიც-ქართველობის უმრავლესობა და უმცირესობა კი დღესამომდე დარჩა ისევ ძველს (გრიგორიანულ) წესზე, და ეს უკანასკნელნი თუმცა სისხლით, ზნით, ადათებით არიან ქართველები და მხოლოდ რწმენით გრიგორიანები, მაინც რაღაც გაუგებრობით ითვლებიან წმინდა წყლის სომხებად! მაშ თუ დინარს არც ერთი სული არ მოექცია, დღეს კახეთი იქნებოდა სომხეთი?

რჯულით ეროვნების თვლას მისდევდნენ მეათე საუკუნის ბერძნის იმპერატორები და ამავე მეთოდს, სამწუხაროდ, მისდევენ არა თუ დღევანდელი ჩვენი მეზობლები, არამედ თვით ჩვენი ერთ სისხლ ხორცი საქართველოში სხვა ქართველებთან ერთად მოსახლე ქართველი სომხებიც!

(დასასრული იქნება).

მ. ჯანაშვილი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

# ბოლშევიზმი და საქართველო

(გაგრძელება. იხ. „საქართ." № 33).

ბოლშევიზმი არის რუს ეროვნული მოძრაობა თავისი იდეოლოგიური შინაარსის თვალსაზრისით. ზევით ჩვენ მოკლე ანალიზის საშუალებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ მთელი რუსეთის ისტორია თავიდან დაწყებული ამ უკანასკნელ ხანამდე, შესდგება ორი ძალთა ურთიერთობისაგან. ეს ძალებია: მომქმედი დასავლეთ ევროპას, რომელიც აწვდიდა რუსეთს ფორმას (კულტურას), და მოქმედების უნარს მოკლებული სლავიანური ბუნება, რომელიც ავსებდა ამ ფორმას თავის შინაარსით.

ვიდრე ეს ორი ძალა, ევროპიული ფორმა და სლავიანური პასსიური ბუნება რუსის ხალხისა, ურთიერთ შორის დაკავშირებული იყვნენ, რუსეთის სახელმწიფო არსებობდა.

მაგრამ საკმარისი იყო ამ ურთიერთობის მოსპობა, რომ რუსეთის სახელმწიფოც დაშლილიყო.

ეს მოხდა წარსულ ომს.

სხვა და სხვა პირობების გამო, რომლების აღნუსხვა აქ შორს წაგვიყვანდა, რუსეთი იძულებული შეიქნა დატაკებოდა უახლოვეს ევროპიულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იყო გერმანია, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ასაზრდოებდა რუსეთს კულტურულად. და აი ამ შეტაკებამ სრულიად ბუნებრივად დაშალა რუსეთი. ის მაცოცხლებელი ფერმენტი რომელიც ჰქმნიდა რუსის მასსისაგან სახელმწიფოებრივ მთლიანობას, ერთი დაკვრით გამოაკლდა რუსეთს. რა უნდა მოჰყოლოდა ამას, ცხადია: რუსეთი მყისვე დაიშალა.

უკვე მაშინ, როდესაც პეტერბურგს სახელს უცვლიდენ და არქმევდენ მას პეტროგრადს, რუსეთის იმპერიის დღეები დათვლილი იყო! როგორ შეიძლება შენობა არ დაიქცეს, თუ მისი შემაკავშირებელი ქვა კირით არ არის შეკრული. ეს შემაკავშირებელი კირის როლი კი რუსეთის სახელმწიფოებრივობაში ეკუთვნოდა უმთავრესად ევროპიელ გავლენას.

ევროპამ დაამარცხა რუსეთი თავის კულტურით დამცირებული რუსული ეროვნული გრძნობა ცდილობს დღეს იძიოს შური ევროპაზე თავისი ბოლშევიზმით. ამნაირად ბოლშევიზმის და კულტურის შორის ისეთი დამოკიდებულებაა, როგორც დამოკიდებულება რუსეთისა და ევროპის შორის. თუ კულტურა ევროპული მოვლენაა par excellence, ბოლშევიზმი არის წმინდა რუსული ეროვნული მოვლენა.

ამ დასკვნის სიმართლეში დასარწმუნებლად საჭიროა დავაკვირდეთ ბოლშევიზმის შინაარსს, რომლის უმნიშვნელოვანესი თვისება შესდგება ფორმის უარყოფაში. ფორმის უქონლობა, ან უსტრუქტურობა, როგორც ვთქვით, რუსების სლავიანური ბუნების ძირითად თვისებას წარმოადგენს. ბოლშევიზმმა კი ეს მოვლენა პრინციპამდე აღამაღლა და იმას, რაც მხოლოდ ბუნებრივი იყო, მიანიჭა იდეალის მნიშვნელობა. „რუსის ბუნება არ იცნობს ფორმას. მერე რა ცუდია ეს? ფორმა საზოგადოდ არარის საჭირო"—აი ბოლშევიზმის აზრთა მსვლელობა. ეს მსჯელობა უნდა გამოვტყდეთ, უფრო მეტად ბოლშევიზმის ნაციონალიზმს ააშკარავებს, ვიდრე მის ლოღიკურობას.

თუ ევროპის კულტურა დამყარებულია ფორმის აღიარებაზე, „ჩემის" და „შენის" განსხვავებაზე, ბოლშევიზმი აუქმებს ყოველივე ფორმას, რომელიც უძევს საფუძვლად თანამედროვე საზოგადოებას. რას ქვია „ჩემი" ან რას ჰქვია „შენი", არ არსებობს არც „ჩემი", არც „შენი", რადგან საზოგადოდ არ არსებობს საკუთრება, როგორც გარკვეული ფორმა ადამიანთა ურთიერთობისა—აი სქემა ბოლშევიკური აზროვნებისა.

საკუთრების ფორმის ნანგრევებზე ბოლშევიზმს სურს წმინდა რუსული ამორფობა გაამეფოს. ბოლშევიკურ სოციალიზმს რუსული „ობშჩინა"-ს სუნი სდის. თუმცა სოციალიზმის იდეის გენეალოგია, თუ ხეირიანად დავაკვირდით, მიგვიყვანს იმ სათავემდის, საიდანაც წარმოსდინდა რუსის ხალხიც, მაგრამ მაინც ამ იდეამ დასავლეთ ევროპის აზროვნებაში გადატეხლმა, ძლიერ იცვალა ფერი. მარქსის სოციალიზმი თითქმის არაფრით არ განირჩევა უბრალო დემოკრატიზმიდან. ეს იმისთვის რომ ევროპამ იმ ზომაზედ გარდაქმნა სოციალიზმის მოძღვრება, აზიის მიერ ნაშობი, რომ მასში ცოტა რამ დარჩა ისეთი, რაც ამ იდეისათვის უჩვენებს.

ბოლშევიზმი კი ნამდვილი სოციალიზმია. მასში ნათლად მკაფიოდ და გარკვეულად გადმოცემულია სოციალისტური მოძღვრების შინაარსი. ევროპიული აზრი არ ჩრდილავს ბოლშევიზმში მის აზიურ ბუნებას, ისე როგორც დაჩრდილულია ეს უკანასკნელი მარქსის მიერ მოხდენილად შეთხზულ თეორიაში. მარქსიზმის და ბოლშევიზმის შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ევროპიელის და რუსის შორის.

ამნაირად ბოლშევიზმი, არის წმინდა რუსული ეროვნული მოძრაობა. როგორც თავის გამომწვევი მიზეზების თვალსაზრისით, აგრეთვე თვის იდეოლოგიურ შინაარსის თვალსაზრისითაც:

დასავლეთმა დაამარცხა რუსეთი თავის კულტურით—შეურაცხყოფილი რუსული ეროვნული გრძნობა ეძებს ხსნას საზოგადოდ მთელი კულტურის უარყოფაში. დასავლეთმა დაამარცხა რუსეთი თავის სიმდიდრით, შეურაცხყოფილი რუსული ეროვნული გრძნობა თავის სარეაბილიტაციოდ უარჰყოფს ყოველგვარ სიმდიდრეს როგორც ცალკე კატეგორიას, უარჰყოფს ეკონომიურ უპირატესობის საფუძველს, კერძო საკუთრებას. დასავლეთის სახელმწიფომ დაამარცხა რუსეთი—შეურაცხყოფილმა რუსულმა ეროვნულმა გრძნობამ უარჰყო თვით იდეა სახელმწიფოებრიობისა.

ყველაფერს ამას ვპოულობთ ჩვენ იმ მოძრაობაში რომელმაც ბოლშევიზმის სახით მიიღო ასეთი შემზარავი ხასიათი რუსეთში.

ბ. ბოლშევიზმი და ევროპა.

ბოლშევიზმის გამომწვევი მიზეზები, მისი იდეოლოგიური შინაარსი, მისი მოქმედების მეთოდები გვიმტკიცებენ, რომ ეს მოძრაობა არის წმინდა რუსული ეროვნული მოძრაობა.

ამასვე გვიმტკიცებს აგრეთვე ის მოსალოდნელი შედეგები, რომელიც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ამ მოძრაობას. მაგრამ ვიდრე ამ საგანს შევეხებოდეთ, საჭიროა წინასწარ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ევროპის და რუსეთის დამოკიდებულება.

ამ დამოკიდებულობაზე ზევით გაკვრით იყო ნათქვამი. უფრო ადრე გამოსულმა ისტორიულ ასპარეზზე და ამასთან ერთად უფრო ნიჭიერმა კულტურის დარგში დასავლეთ ევროპამ ადრე შექმნა სრულიად ახალი, უცნობი მანამდე ფორმა მეურნეობისა: ეს ფორმაა მანქანური წარმოება. რაკი ერთხელ გაჩნდა დასავლეთ ევროპაში ეს წარმოება, ის თავისი ბუნებრივი ძალის საშუალებით თანდათან ვითარდებოდა. ამ განვითარებას მოჰყვა შედეგად დიდი სოციალური ცვლილებანი დასავლეთ ევროპაში, სოფლის დაცალიერება და ქალაქების ზრდა. სოფლის მეურნეობა თანდათან მცირდებოდა და მის მაგივრად ფეხს იკიდებდა მრეწველობა.

დასავლეთ ევროპის განვითარებული მრეწველობა ეძებდა ახალ-ახალ ბაზრებს თავისი ფაბრიკატების გასასაღებლად. ის ცდილობდა ამ ბაზრების პოლიტიკურ დაპყრობასაც, რათა პოლიტიკური ბატონობით უცხო-ქვეყნებზე უზრუნველ ეყო შინაური მრეწველობის განვითარება. აი ეს შეადგენდა ეგრედ წოდებულ კოლონიალური პოლიტიკის საგანს.

გარდა იმისა რომ უცხო ქვეყნები ასაღებდენ ევროპის მიერ დამუშავებულ საქონელს, ისინი აწვდიდენ ამ უკანასკნელს ნედლ მასალას გადასამუშავებლად. მაგრამ ვინაიდან პოლიტიკური ბატონობა ევროპიელებს ეკუთვნოდა, მსოფლიო ბაზარზედაც ისინი იყვნენ გაბატონებული და ეს მოვლენა კი ძირიანად სცვლიდა ჩვეულებრივ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ბაზარზე ორ მხარეთა შორის: მყიდველის და გამყიდველის. ჩვეულებრივი დამოკიდებულება ბაზარზე გულისხმობს სრულს თავისუფლებას, როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის. თუ ეს თავისუფლება არ არის დაცული, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ძალდაუტანებელ გაცვლა-გამოცვლასთან, რაც საფუძვლად უდევს ვაჭრობის მეცნებას, არამედ იძულებითი ჩამორთმევასთან, ე. ი. ყაჩაღობასთან მტაცებლობასთან. ამნაირად, რაც მართალია ის უნდა ითქვას: ევროპიელები უცხო ქვეყნებში ხშირად მტაცებლის როლს თამაშობდენ. თავისუფალი ურთიერთობა სხვა და სხვა ერების შორის იყო დარღვეული. ევროპა ძვირად ასაღებდა თავის ფაბრიკატებს და ჩალის ფასში მიჰქონდა ნედლი მასალა. ასეთი განწყობილების უზრუნველ საყოფად კი ევროპა ეყრდნობოდა თავის პოლიტიკურ გავლენას, ე. ი. ბოლოს და ბოლოს ზარბაზნებს, ყუმბარებს და დრედნოუტებს. ამას ეძახდენ რბილად ეკონომიური ექსპლოატაციის პოლიტიკურ გარანტიას. ამ სიტყვების მნიშვნელობა უფრო ახლო რომ გამოიკვლიოთ, ჩვენ თვალწინ წარმოსდგება ის აუწერელი უსამართლობა, ადამიანის პიროვნების გათელვა, მისი უფლებების უარყოფა, რომელსაც ასე უხვად სჩადიან ევროპიელები უცხოელებთა მიმართ. თავის ქვეყანაში ლიბერალები, თავაზიანები, სხვისი პიროვნების პატივის მცემელნი—უცხოეთში ისინი სრულიად იცვლებიან: ლიბერალიზმი სადღაც ქრება, და მის ადგილს იჭერს უსასტიკესი დესპოტიზმი; თავაზიანობას, და სხვისი პიროვნებისადმი პატივისცემას ასეთივე ბედი ეწევა ხოლმე. რისთვის? იმისთვის რომ სხვა ნაირი მოქცევა ეწინააღმდეგება ევროპიელის ინტერესებს: ევროპის კეთილდღეობა დღემდის დამოკიდებული იყო უცხო ერების მის წინაშე მორჩილებაზე, რომლის გარანტიას უმთავრესად ფიზიკური ძალა შეადგენდა.

1. მართალია, ევროპას შემოჰქონდა კულტურა, სინათლე, ევროპა იყვანდა ეგვიპტეში არხებს. ევროპას გაყავდა აზიაში რკინის გზები, ევროპამ გააშენა ავსტრალიაში უზარმაზარი ქალაქები. ყველაფერი ეს რა თქმა უნდა ამაღლებდა უცხოეთის ეკონომიურ მდგომარეობას. თუ რომელიმე პოლინეზიელი ევროპიელების შემოსვლამდის იმ ზომაზედ იყო დამორჩილებული ბუნების მიერ, რომ თითქმის პირუტყვს წააგავდა, მას ევროპიელების ჩამოსვლის შემდეგ მიეცა საშუალება ტანზე ჩაეცვა, თავზე დაეხურა, ბინა გაეშენებინა. ეს დიდი ამაგია, რომელიც დასდო ევროპამ მთელს კაცობრიობას. რომ ეს არ ყოფილიყო, ადამიანი ისეთი რამ არის, რომ მისი სრული დამორჩილება შეუძლებელია. მაგრამ გარდა ამისა, ევროპიელების განწყობილებაში უცხოელებთან დიდი ადგილი ეჭირა ძალდატანებას. ევროპის კულტურა შემოდიოდა უცხოეთში აურაცხელი ადამიანთა გვამებზე.

გადაშალეთ კარლოს მარქსის მთავარი ნაწარმოები „კაპიტალი", წაიკითხეთ იქ ერთი თავი პირველ-დაწყებითი კაპიტალის დაგროვებაზე და თქვენ უსათუოდ აღშფოთდებით იმ უსამართლობის ფაქტებით, რომელიც ასე ჩინებულად აღწერილია ამ დიდი ადამიანის ნაშრომში.

ხ. დარიანი.

(გაგრძელება იქნება).

ასლან სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 4.